პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 45 (9513) | კვირა, 22 თებერვალი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებია

ყველანი არჩევნებზე!

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

ДИДИ СТАЛИНИСАДМИ УСАЗЗВРО ЕРТГУЛЕБИСА ДА СИЧВАРУЛИС ГРЗНОБИТ

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების ლენინის № 8 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრება

21 თებერვალს საღამოს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების წინა დღეს, თბილისის რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში საზეიმო ვითარებაში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის ლენინის № 8 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრება.

სადღესასწაულოდ მორთულია თეატრის მაყურებელთა დარბაზი. ფართო ტილოებია გაკრული თეატრის იარუსებზე. მათზე წარწერილია სიტყვები, რომლებიც გამარჯვებას უსურვებენ ლენინ — სტალინის დიად პარტიას — საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს.

სცენის სიღრმეში დროშებს შორის არის პარტიისა და ხალხის დიდი ბელადის, კომუნიზმის გენიალური ხუროთმოძღვრის ამხანაგ ი. ბ. სტალინის დიდი პორტრეტი. სცენის თავზე გამოსახულია სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ საბჭოთა ადამიანების სანუკვარ ფიქრებსა და გრძნობებს.

— დიდება დიდ სტალინს!

მაყურებელთა დარბაზში არიან ლენინის № 8 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები, რომელთაც წილად ხვდათ დიდი ბედნიერება — ხმა მისცენ საყოველთაო-სახალხო კანდიდატს, საბჭოთა ხალხის ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ ი. ბ. სტალინს. დამსწრეთა შორის არიან საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მდებარე ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლები, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

წინასაარჩევნო კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ა. მგელაძე, ზ. კეცხოველი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. ცხოვრებაშვილი, ვ. ბუჯიაშვილი, ვ. ბაქრაძე, ა. კოპლავაშვილი, გ. ჯაბუა, ვ. ბალავაძე, გ. ჯავახიშვილი, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები, ნდობით აღჭურვილი პირები და სხვები.

წინასაარჩევნო კრებას ხსნის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. დ. მამაცაშვილი.

— საქართველოს მშრომელები, — ამბობს იგი, — უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ემზადებიან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღისათვის.

განსაკუთრებული ბედნიერება ხვდა წილად ლენინის № 8 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველებს, სადაც თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის დიდი სტალინი. ჩვენს ამ სიხარულსა და ბედნიერებას იზიარებს საქართველოს ყველა მშრომელი.

ჩვენი ოლქის ამომრჩეველები უდიდესი სიხარულით ერთსულოვნად მისცემენ ხმას პარტიისა და ხალხის დიდ ბელადს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის მედროშეს ამხანაგ სტალინს. ამხანაგ სტალინისათვის ხმის მიცემით ჩვენ ხმას ვაძლევთ ჩვენს ბედნიერ, საამურ ცხოვრებას, კომუნიზმის გამარჯვებას, მშვიდობას მთელ მსოფლიოში. ამხანაგ სტალინის სახელი საბჭოთა ხალხის დიდების სიმბოლოა, კომუნიზმის მშენებლობის საქმეში მისი დიდი გამარჯვებების დროშაა.

ქართველი ხალხი, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, არჩევნების დღეს ხვდება ახალი საწარმოო გამარჯვებებით დედა-სამშობლოს სასახელოდ. საბჭოთა ადამიანები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ამხანაგ სტალინის სიტყვით ყრილობაზე, მისი გენიალური შრომით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, თავიანთ ძალებს არ იშურებენ მეხუთე სტალინური ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებისათვის, კომუნიზმის მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის ბრძოლაში.

კრების მონაწილენი აღფრთოვანებით ხვდებიან ორატორის სიტყვებს, როცა იგი გამარჯვებასა და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს პირველ საყოველთაო-სახალხო კანდიდატს, პარტიისა და ხალხის დიდ ბელადს ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

კრების მონაწილეებმა საპატიო პრეზიდიუმში უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი დიდი სტალინის მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა ნდობით აღჭურვილ პირს ამხ. გ. ბაქრაძეს.

— გამოხატა რა მთელი ქართველი ხალხის ნება, —— ამბობს იგი, — სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა თბილისის მშრომელთა დეპუტატების სა-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ДИДИ СТАЛИНИС САХЕЛИТ

Дღეს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებია. ამ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს საქართველოს მშრომელები ეგებებიან სოციალისტური სამშობლოსადმი კანონიერი სიამაყის გრძნობით გამსჭვალულნი, საბჭოთა მთავრობის, ლენინ — სტალინის პარტიის, დიდი სტალინის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი.

დღეს, როგორც ყოველთვის, საქართველოს მშრომელთა ფიქრები მიპყრობილია დიდი სტალინისაკენ, ვინც მილიონობით ადამიანთა სანუკვარ ოცნებასა და საუკეთესო სურვილებს ასრულებს, ვინც ჩვენი ხალხი ყველა განსაცდელიდან გამარჯვებული გამოიყვანა, ვინც დაგვიმკვიდრა ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრება, ვინც მეთაურობს მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს, ვისი ბრძნული წინამძღოლობითაც ჩვენი სამშობლო ძლევამოსილად მიემართება წინ — კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ.

საქართველოს მშრომელთა უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული მშობლიური სტალინისადმი ერთხელ კიდევ მთელი სისრულით გამოვლინდა არჩევნებისათვის მზადების დღეებში. ქართველმა ხალხმა დეპუტატობის პირველ კანდიდატად უდიდესი აღფრთოვანებით დაასახელა ამხანაგი სტალინი.

ლენინ — სტალინის პარტიისადმი საქართველოს მშრომელთა ერთგულებამ და სიყვარულმა გამოხატულება ჰპოვა დეპუტატობის კანდიდატებად პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეთა — გ. მ. მალენკოვის, ლ. პ. ბერიას, კ. ე. ვოროშილოვის, ნ. ა. ბულგანინის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ნ. ს. ხრუშჩოვის, მ. გ. პერვუხინის, მ. ზ. საბუროვის, ნ. გ. პეგოვის დასახელებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ა. ი. მგელაძის დასახელებით.

საქართველოს მშრომელებმა სამშობლოსადმი ერთგულება გამოხატეს დეპუტატობის კანდიდატებად მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანების, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეთა, პარტიული და საბჭოთა მუშაკების დასახელებით.

მთელი საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა მშრომელთა მაღალი პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ვითარებაში, კომუნისტებისა და უპარტიოების ერთსულოვნებისა და მათი მტკიცე დარაზმულობის ვითარებაში.

ამ არჩევნებში, როგორც ყველა სხვა წინათ ჩატარებულ არჩევნებში, ჩვენი პარტია გამოვიდა უპარტიოებთან მტკიცე ბლოკით, რაც ერთხელ კიდევ მკაფიოდ ადასტურებს პარტიისა და ხალხის ინტერესების სისხლხორცეულ კავშირს. ეს კავშირი და ბლოკი საბჭოთა ხელისუფლების შექმნის დღიდან იჭედებოდა და დუღაბდებოდა და იგი მძლავრ ძალად გადაიქცა.

არჩევნებს საქართველოს მშრომელები ეგებებიან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფრონტებზე მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატებებით. პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებითა და ამხანაგ სტალინის გენიალური შრომით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შეიარაღებული ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, მთელ ძალებს ახმარებენ მეხუთე ხუთწლედის ამოცანათა განხორციელებას.

არჩევნებისათვის მზადების დღეები საქართველოს მშრომელებმა აღნიშნეს ახალი ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მძლავრი გაჩაღებით. ათასობით მოწინავე ადამიანი სტახანოვურ ვახტზე იდგა და ნაკისრი ვალდებულება დღეისათვის პირნათლად გაანაღდა.

სამშობლოზე ფიქრით, დიდი სტალინის სახელით ბოდიან დღეს საქართველოს მშრომელები არჩევნებზე, ბოდიან მტკიცე გადაწყვეტილებით — იყვნენ ფხიზელნი, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელნი, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ თავიანთ რიგებში მოშვებულობასა და დოყლაპიობას, კვლავაც მთელი ძალები მოახმარონ ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, ლენინ — სტალინის საქმეს, განუხრელად იარონ წინ — დიდი სტალინის მიერ ნაჩვენები გზით.

საქართველოს მშრომელებმა კარგად იციან, რომ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით ისინი ხმას მისცემენ ჩვენი სამშობლოს შემდგომ მძლავრ აღმავლობას, ბედნიერ და სასიხარულო ცხოვრებას, კომუნიზმის გამარჯვებას. ქართველ ხალხს კარგად აქვს შეგნებული, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას, მხოლოდ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას უნდა უმადლოდეს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის უმაგალითო აყვავებასა და გაფურჩქვნას, საქართველოს გადაქცევას საბჭოთა კავშირის მოწინავე რეპუბლიკად. კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით იგი ხმას მისცემს იმას, რომ კიდევ უფრო განვითარდეს ჩვენი რესპუბლიკა, გაძლიერდეს მისი ეკონომიკა, კიდევ უფრო გაიფურჩქნოს და წინ წავიდეს მისი მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება.

გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა სახელმწიფოს, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის ბურჯს!

გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევ სტალინურ ბლოკს!

დიდება დეპუტატობის საყოველთაო-სახალხო კანდიდატს, კომუნიზმის გენიალურ ხუროთმოძღვარს, მშვიდობის დიდ მედროშეს მშობლიურ სტალინს!

საბჭოთა შეიარაღებული ძალების დღესასწაული

ხვალ საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები იდღესასწაულებენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს. 35 წლის წინათ, 1918 წლის 23 თებერვალს მშრომელთა დიდი მასწავლებლებისა და ბელადების — ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დღეებში, შეიქმნა საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი — ჩვენი სიამაყე, ჩვენი სამშობლოს თავდაცვის საიმედო დასაყრდენი.

ამ შესანიშნავ დღესასწაულს საბჭოთა ხალხი აღნიშნავს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა ფრონტზე ახალ წარმატებათა ვითარებაში, რომლებიც მოწმობენ სოციალისტური წყობილების დიდ სასიცოცხლო ძალას, მის განუზომელ უპირატესობებს კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით.

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ჯერ კიდევ გარიჟრაჟზე, სამოქალაქო ომისა და უცხოელთა სამხედრო ინტერვენციის წლებში, საბჭოთა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა ღირსეულად შეასრულეს თავიანთი ვალი და გაანადგურეს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგრესიული ძალები, რომელთა სულისჩამდგმელი იყო ამერიკის მმართველი რეაქციული ხროვა. ჯერ კიდევ მაშინ, წითელი არმიის ჩასახვის პერიოდში იგრძნეს იმპერიალისტმა აგრესორებმა, თუ რა უძლეველი ძალებით აღჭურვა საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ.

საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო და კულტურულ წარმატებებთან ერთად სულ უფრო იზრდებოდა და მრავლდებოდა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძალები, სულ უფრო სრულყოფილი ხდებოდა მათი ბრძოლისუნარიანობა. ეს არაერთხელ გამოსცადეს საკუთარ ზურგზე საბჭოთა ხალხის მტრებმა — იმპერიალისტმა ინტერვენტებმა, რომელთაც საბჭოთა ხალხის დამონება სურდათ.

მაგრამ ყველაზე დიდი გამოცდა საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა მეორე მსოფლიო ომის დროს ჩააბარეს. თავისი ისტორიის მანძილზე ჩვენს სამშობლოს არასოდეს არ განუცდია ისეთი მუხანათური თავდასხმა, როგორიც მოახდინეს ჰიტლერული გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა. ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტების მიერ წაქეზებულ ფაშისტ დამპყრობლებს მიზნად ჰქონდათ დასახული საბჭოთა სახელმწიფოს განადგურება, მილიონობით ადამიანთა მოსპობა და დამონება.

საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა ლენინ — სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით, არა მარტო გაუძღვეს ამ უდიდეს გამოცდას, არამედ სასტიკად გაანადგურეს მტერი, დაიცვეს თავიანთი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, იხსნეს ევროპის ხალხები ფაშისტური დამონებისაგან. საბჭოთა არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებში მოსკოვთან და სტალინგრადთან, კურსკთან და ბელგოროდთან, კიევთან და კიროვოგრადთან, მინსკთან და ბობრუისკთან, ლენინგრადთან და ტალინთან, იასასთან და ლვოვთან, ვისლასა და ნემანზე, დუნაისა და ოდერზე, ვენასთან და ბერლინთან ნათლად იჩინა თავი საბჭოთა არმიის მაღალმა თვისებებმა, მისი მებრძოლებისა და მეთაურების ოსტატობამ, მისი სტრატეგიისა და ტაქტიკის სრულყოფილებამ, სტალინურმა მხედართმთავრულმა გენიამ.

მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა შეიარაღებული ძალების ბრწყინვალე გამარჯვებამ სრულიად გააქარწყლა, როგორც უნიადაგო და სასაცილო რამ ბევრი უცხოელი აღიარებული ავტორიტეტის განცხადება, რომ საბჭოთა არმია ცუდად შეიარაღებულია და არა ჰყავს ნამდვილ მეთაურთა შემადგენლობა, რომ დაბალია მისი მორალური მდგომარეობა, რომ იგი შეიძლება თავდაცვისათვის კიდევ გამოდგეს, მაგრამ შეტევისათვის სრულიად გამოუსადეგარია და გერმანიის ჯარების მხრივ ძლიერი დარტყმის შემთხვევაში საბჭოთა არმია „თიხის ფეხებიანი ბუმბერაზივით“ დაიმსხვრევაო. საბჭოთა არმიამ ჩაფუშა ამ ვაი-თეორეტიკოსთა ვარაუდები. „ომმა, — აღნიშნა ამხანაგმა სტალინმა, — გვიჩვენა, რომ წითელი არმია „თიხის ფეხებიანი ბუმბერაზი“ კი არ არის, არამედ ჩვენი დროის პირველხარისხოვანი არმიაა, რომელსაც სავსებით თანამედროვე შეიარაღება აქვს, უაღრესად გამოცდილი მეთაურთა შემადგენლობა ჰყავს და მაღალი მორალურ-საბრძოლო თვისებანი ახასიათებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ წითელი არმია სწორედ ის არმიაა, რომელმაც სასტიკად დაამარცხა გერმანიის არმია, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ შიშის ზარსა სცემდა ევროპის სახელმწიფოთა არმიებს“.

მეორე მსოფლიო ომის დროს, ჰიტლერული გერმანიის განადგურების რამდენიმე თვის შემდეგ საბჭოთა არმიამ შემმუსვრელი და მძლავრი დარტყმებით გაანადგურა იაპონელთა კვანტუნის არმია და ამით მოახდინა ომის კერის ლიკვიდაცია შორეულ აღმოსავლეთში.

საბჭოთა არმია ჭეშმარიტად ყველაზე ძლიერი, მოწინავე და თანამედროვე არმიაა, რომელსაც შეუდარებელი უპირატესობა აქვს იმპერიალისტური სახელმწიფოების ყოველი არმიის წინაშე. მაგრამ ეს ძალა არასოდეს არ ყოფილა გამოყენებული სხვა ქვეყნების ხალხთა საზიანოდ ან სხვისი ტერიტორიების დასაპყრობად, არამედ ყოველთვის გამოყენებული იყო მშვიდობისა და საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომის დასაცავად.

ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტები, რომლებიც შეპყრობილი არიან საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიმართ ღრმა სიძულვილითა და გაბოროტებით, მსოფლიო ბატონობის მიღწევისა და სოციალიზმის ძალების ჩახშობის მიზნით გამალებით ამზადებენ ახალ მსოფლიო ომს. წინააღმდეგ იმპერიალისტთა აგრესიული პოლიტიკისა, საბჭოთა კავშირი დაინტერესებულია მშვიდობით. ამაზე მეტყველებს ჩვენი ქვეყნის მთელი ეკონომიკური და კულტურული განვითარების მიმართულება, კომუნიზმის გრანდიოზულ მშენებლობათა გაჩაღება, მთელი საბჭოთა ხალხის გმირული, შემოქმედებითი შრომა კომუნიზმის ასაშენებლად.

საბჭოთა ხალხის ამ მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ფხიზლად დარაჯობენ და საიმედოდ უზრუნველყოფენ ყოველგვარი საშიშროებისაგან ჩვენი შეიარაღებული ძალები. ხოლო თუ, მიუხედავად საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკისა, იმპერიალისტი ყაჩაღები თავს დაესხმიან ჩვენს ქვეყანას, ისინი საკადრის პასუხს მიიღებენ. „იცოდნენ ომის ისტერიით გაბრუებულმა ვაებატონებმა, რომ თუ ისინი თავს დაესხმიან ჩვენს ქვეყანას, საბჭოთა ხალხი შეძლებს დაუხვდეს მათ ისე, რომ სამუდამოდ დაუკარგოს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უგუნური ხელყოფის ხალისი“ (ლ. ბერია).

საბჭოთა ხალხი, ზეიმით აღნიშნავს რა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 35 წლისთავს, უსურვებს მთელი შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას ახალ წარმატებებს სამხედრო და პოლიტიკურ მომზადებაში.

გაუმარჯოს საბჭოთა არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს — ლენინ — სტალინის დიადსა და უძლეველ პარტიას!

დიდება ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს, გენიალურ მხედართმთავარს გენერალისიმუს სტალინს!

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲕᲐᲚᲘᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗ

(დასასრული)

ოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა პარტიისა და ხალხის დიდი ბელადი, კომუნიზმის გენიალური ხუროთმოძღვარი ამხანაგი სტალინი. მთელი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ ცნობას, რომ ამხანაგი სტალინი დათანხმდა კენჭი იყაროს თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე ლენინის № 8 საარჩევნო ოლქში. საყვარელი ბელადის დიდ ნდობას ჩვენ ვუპასუხებთ ახალი საწარმოო გამარჯვებებით, სტახანოვური შრომით, რომლის მიზანია ჩვენი სამშობლოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურღვევი ბურჯის ძლიერების განმტკიცება.

ისტორია ლენინის რაიონისა, სადაც არის ოლქი, რომელშიც კენჭს იყრის დიდი სტალინი, მჭიდროდ არის დაკავშირებული დიდი ბელადის სახელთან. აქ, საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე დიდი სტალინი მუშათა კლასს რაზმავდა თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა ნათელი მომავლისათვის, კომუნიზმისათვის საბრძოლველად. სახელოვანი სტალინური ტრადიციები მტკიცდება და მრავლდება თავდადებული, სტახანოვური შრომით ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა ადამიანისათვის უდიდესი ბედნიერებაა, რომ ხმას აძლევს დიდ სტალინს. ხალხთა ბრძენი ბელადისათვის ხმის მიცემით ცხადყოფთ ჩვენს უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას კომუნისტური პარტიისადმი, ლენინ — სტალინის საქმისადმი.

ტრიბუნაზეა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სტახანოველი ხარატი ამხ. ი. ჭუმბურიძე. იგი ლაპარაკობს უდიდეს შრომითის აღმავლობაზე, რომლითაც ქარხნის კოლექტივი ეგებება არჩევნების დღეს.

— სტახანოვური შრომით, — ამბობს იგი, — ჩვენი წვლილი შეგვაქვს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში, პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში. ჩვენი ბრიგადა სტახანოვურ ვახტზე დადგა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების აღსანიშნავად და გეგმას სისტემატურად 250 პროცენტით ასრულებს. ხვალ ჩვენ უკლებლივ მივალთ საარჩევნო უბანში და უდიდესი სიხარულით მივცემთ ხმას პირველ საყოველთაო-სახალხო კანდიდატს საყვარელ ამხანაგ სტალინს.

საბჭოთა ადამიანების მგზნებარე, პატრიოტულ გრძნობებზე, კომუნისტური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი მათს უსაზღვრო სიყვარულზე ილაპარაკა თავის სიტყვაში დიასახლისმა ამხ. მ. ჩომახიძემ.

მკაფიო სიტყვა წარმოთქვა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ოსტატმა ამხ. ა. ტეურინმა.

— სიხარულითა და ზეიმით ხვდებიან ჩვენი ოლქის ამომრჩევლები, — ამბობს იგი, — ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს. ჩვენ ხმას მივცემთ დიდ სტალინს, რომლის სახელთან დაკავშირებულია ყველა ჩვენი გამარჯვება, ჩვენი რუშენა კომუნიზმის სრული გამარჯვებისადმი. ამხანაგ სტალინის სახელი ყველაზე ძვირფასი და მახლობელი სახელია საბჭოთა ადამიანებისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის. არჩევნების დღეს საბჭოთა ადამიანები ცხადყოფენ თავიანთ ურყევ დარაზმულობას კომუნისტური პარტიის გარშემო, საყვარელი ბელადის გარშემო, თავიანთ მისწრაფებას — უფრო მეტი ენერგიით იბრძოლონ სტალინურ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის.

სიტყვა ეძლევა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს პროფესორ გ. ინასარიძეს.

— მთელ ჩვენს ფიქრებსა და გრძნობებს, — ამბობს იგი, — დღეს ვაპყრობთ პირველ საყოველთაო-სახალხო კანდიდატს, საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს დიდ სტალინს. დიდი სტალინის გენიით გასხივოსნებულია ჩვენი ეპოქა, კომუნიზმის მშენებლობის ეპოქა.

საბჭოთა ხალხი სიამაყით ავლებს თვალს მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა გზას, ეს გამარჯვებები მოპოვებულია დიდი სტალინის წინამძღოლობით.

საბჭოთა ხალხი აშენებს კომუნიზმს, ჩაბმულია მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში და ერთი წუთითაც არ ივიწყებს ახალი ომის ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტ გამჩაღებელთა ვერაგულ ხრიკებს. ჩვენ უფრო გავაძლიერებთ სიფხიზლეს, უფრო მჭიდროდ დავირაზმებით მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, დიდი სტალინის გარშემო, უფრო თავდადებით ვიბრძოლებთ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისათვის.

კრებაზე მგზნებარე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს ვაჟთა მე-15 საშუალო სკოლის პედაგოგმა ამხ. ო. ღაღანიძემ და ახალგაზრდა ამომრჩეველმა, ქალთა მე-20 საშუალო სკოლის მოსწავლემ ამხ. ლ. სუჯაშვილმა.

კრების მონაწილენი უდიდესი აღფრთოვანებით, ხანგრძლივი მქუხარე ტაშით იღებენ მისალმებას პირველი საყოველთაო-სახალხო კანდიდატის, პარტიისა და ხალხის დიდი ბელადის, კომუნიზმის გენიალური ხუროთმოძღვრის ამხანაგ სტალინისადმი. (საქდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრში შედგა ქუთაისის საოლქო საბჭოს არჩევნების № 1 საარჩევნო ოლქისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 1 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრება. ამ ოლქებში კენჭს იყრის მშრომელთა ბრძენი ბელადი და მასწავლებელი დიდი სტალინი. წინასაარჩევნო კრება გახსნა საოლქო საბჭოს არჩევნების ლენინის № 1 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. კ. მეძველიამ. კრების მონაწილეებმა საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშით აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობა დიდი სტალინის მეთაურობით.

ტრიბუნაზე არის ნდობით აღჭურვილი პირი, საავტომობილო ქარხნის დირექტორი ამხ. ბ. ბოკია.

— ჩვენ წილად გვხვდა უდიდესი ბედნიერება, — თქვა მან, — ხმა მივცეთ დიდ ბელადსა და მასწავლებელს მშობლიურ სტალინს. ამხანაგ სტალინის მთელი ცხოვრება მშრომელი ხალხისათვის თავდადებული სამსახურის უბადლო მაგალითია. იმ დიდი ნდობის პასუხი, რაც ჩვენი ოლქის მშრომელებს გამოუცხადა საყვარელმა სტალინმა, იქნება უკეთესი მუშაობა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სიტყვა ეძლევა მანქანათმშენებელი ქარხნის ზეინკალს ამხ. ა. ლოსაბერიძეს. იგი ლაპარაკობს იმ გმირულ გზაზე, რომელიც ჩვენმა ხალხმა განვლო ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით. შემდეგ ამხ. ლოსაბერიძემ განაცხადა, რომ არჩევნების აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება 300 პროცენტით შეასრულა და პირობა დადო კვლავ მაღალნაყოფიერად იმუშაოს საბჭოთა სამშობლოს სადიდებლად.

— ამხანაგ სტალინის სახელი მშრომელებისათვის ყველაზე ძვირფასი სახელია, — განაცხადა პედინსტიტუტის წარჩინებულმა სტუდენტმა ამხ. შ. ჯაფარიძემ, — კომუნისტურმა პარტიამ, დიდმა სტალინმა ჩვენ სასიხარულო ცხოვრება დაგვიმკვიდრეს. ამიტომ არის, რომ ასე უსაზღვროდ გვიყვარს ჩვენი პარტია, ჩვენი სტალინი, ამიტომ არის, რომ უყოყმანოდ მივყვებით მათ მიერ ნაჩვენებ გზას.

კრებაზე მგზნებარე სიტყვები წარმოთქვეს აბრეშუმის კომბინატის წარმომადგენელმა ამხ. რ. სმირნოვამ, ახალგაზრდა ამომრჩეველმა ამხ. ნ. ჯოგლიძემ და სხვებმა.

პოეტმა დ. კვიცარიძემ წაიკითხა ამხანაგ სტალინისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი.

კრების მონაწილეებმა აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება დიდი სტალინისადმი. (საკ. კორ.).

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 32 წლისთავისა და საბჭოთა არმიის 35 წლისთავთან დაკავშირებით მაღალი შესრულებითი ოსტატობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მუშაკებს მიენიჭათ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა ანსამბლის მხატვრულ ხელმძღვანელს სურენ ისაკის-ძე **ბაბლოევს;**

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა ანსამბლის არტისტებს: რობერტ ტატევოსის-ძე **ბაგდასაროვს,** შალვა კონდრატის-ძე **გაბიჩვაძეს,** პავლე კუზმას-ძე **ზოლოტოვერხოვს,** ვიქტორ ანდრიას-ძე **შვეცოვს.** (საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 32 წლისთავისა და საბჭოთა არმიის 35 წლისთავთან დაკავშირებით მაღალი შესრულებითი ოსტატობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის შემდეგი მუშაკები:

ანსამბლის უფროსი მიხეილ ეგნატეს-ძე **საფრონოვი,** ანსამბლის ქორმეისტერი არკადი მელკონის-ძე **ავაქოვი,** ანსამბლის არტისტები: მიხეილ ნიკოლოზის-ძე **კორჩაიძე,** ვლადიმერ სოლომონის-ძე **სტეპანიანი,** ანატოლი ეფიმის-ძე **პობელიანსკი,** ანდრია ნიკიტას-ძე **მაჩკალოვი,** ელენე ნიკოლოზის ასული **ანგაროვა,** იულიან სტანისლავის-ძე **სტუძინსკი,** ბალეტმეისტერი იური აბრამის-ძე **ზარეცკი.** (საქდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

★

ს. ᲒᲣᲓᲘᲝᲜᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘ

★

1953 წლის 23 თებერვალს სრულდება ოცდათხუთმეტი წელი საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების შექმნის დღიდან. ჩვენი ხალხი ამ ღირსშესანიშნავ თარიღს აღნიშნავს უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, აღწევს სულ ახალ და ახალ წარმატებებს მეხუთე სტალინური ხუთწლედის დიად დავალებათა შესრულებაში. საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც აღფრთოვანებული არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით, ი. ბ. სტალინის გენიალური შრომით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და მისი სიტყვით ყრილობაზე, მაღლა უჭირავთ კომუნიზმის დროშა.

ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სადარაჯოზე დგანან საბჭოთა კავშირის სახელოვანი შეიარაღებული ძალები. ისინი ფხიზლად იცავენ ჩვენს მძლავრ სამშობლოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიის დასაყრდენს, მის სახელმწიფოებრივ ინტერესებს, რომლებიც განუყოფელია მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანთა საარსებო ინტერესებისაგან. სწორედ ამიტომ ჩვენი უძლეველი არმიის, განმათავისუფლებელი არმიის შექმნის სახელოვან წლისთავზე მას სულით და გულით, მხურვალედ მიესალმებიან მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ყველა ქვეყნის მშრომელნი.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები — ჩვენი ხალხის საყვარელი პირმშო — თავიანთ ღირსშესანიშნავ წლისთავს ხვდებიან შესანიშნავი წარმატებებით საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, იმისათვის მზადყოფნი, რომ შეასრულონ სოციალისტური სამშობლოს ყოველი ბრძანება.

I.

ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებიც შექმნილი და აღზრდილი არიან კომუნისტური პარტიის მიერ, მშრომელთა დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის მიერ, სახელოვანი საბრძოლო გზა განვლეს. მთელი მათი ისტორია გმირობის, სოციალისტური სამშობლოსადმი თავდადებული სანსახურის, საბჭოთა ხალხის წინაშე მხედრული ვალის მამაცურად შესრულების ცოცხალი მაგალითია.

საბჭოთა არმია გარემოსილია მთელი ხალხის სიყვარულით, იგი წარმოადგენს უდიდეს მებრძოლ რევოლუციურ ძალას, რომელიც არსებობს მუშათა კლასის მტრების თავზარდასაცემად, ყველა ჩაგრულისა და დამონებულის სასიხარულოდ. თავისი მიზნებით, სოციალური ბუნებით იგი ძირეულად განსხვავდება კაპიტალისტური არმიებისაგან.

საბჭოთა არმია მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს არმიაა. ოცდაბუთი წლის წინათ ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ სიტყვაში მოსკოვის საბჭოს საზეიმო პლენუმზე, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა არმიის მეათე წლისთავს, ღრმად და მკაფიოდ დაგვანახვა ჩვენი არმიის ნამდვილი ხალხური არსი, მისი ძირეული თავისებურებანი. ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ საბჭოთა არმია განთავისუფლებულ მუშათა და გლეხთა არმიაა, ჩვენი ქვეყნის ერებს შორის ძმობის არმიაა. იგი იზრდება ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, სხვა ქვეყნების ხალხებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. ჩვენი არმია ამ თავისებურებებს უნდა უმადლოდეს თავის ძალასა და ძლიერებას.

საბჭოთა არმია იშვა და გამოიწრთო საბჭოების ხელისუფლებისათვის — ნამდვილი სახალხო ხელისუფლებისათვის ბრძოლის, უცხოელი დამპყრობლებისა და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლების ქარცეცხლში. 1918 წლის 28 იანვარს ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნის შესახებ, ხოლო ორი კვირის შემდეგ გამოქვეყნდა დეკრეტი მუშურ-გლეხური წითელი ფლოტის შექმნის შესახებ. საბჭოთა არმიის ახალგაზრდა პოლკებმა ნარვასთან და ფსკოვთან გამართულ ბრძოლებში გადამწყვეტი დარტყმა მიაყენეს გერმანიის იმპერიალიზმის ჯარებს და შეაჩერეს მათი წინსვლა პეტროგრადისაკენ. ეს დღე, საბჭოთა არმიის დაბადების დღე, საბჭოთა ხალხის ყოველწლიური დღესასწაული გახდა.

მალე საბჭოთა რესპუბლიკა ფრონტების ცეცხლის რკალში მოექცა. ჩვენი ქვეყნის ფარგლებში ომის კამოუცხადებლად შემოიჭრნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოების იმპერიალისტი ავაზაკები.

მშრომელთა დიდმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა მთელი ჩვენი ქვეყანა შეამჭიდროვეს ერთიან სამხედრო ბანაკად, სამამულო ომისათვის დარაზმეს ჩვენი სამშობლოს ხალხები. თავისი მაღალი პოლიტიკური შეგნებულობით ძლიერმა საბჭოთა არმიამ მშრომელთა მძლავრი დახმარებით გაანადგურა ინტერვენტები და თეთრგვარდიელები, დაიცვა თავისი სოციალისტური სახელმწიფოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარნი.

ეს გამარჯვება ჩვენმა ხალხმა და მისმა არმიამ მოიპოვეს კომუნისტური პარტიის, მისი ბრძენი ბელადების ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობის მეოხებით.

II.

საერთაშორისო იმპერიალიზმის პირველი ცდა — ჩაეხრჩო, დაემონებინა საბჭოების ქვეყანა — კრახით დამთავრდა, მაგრამ ამას არ აღმოუფხვრია ჩვენს სამშობლოზე ახალი სამხედრო თავდასხმების საფრთხე. ამიტომ საჭირო იყო ყველა ღონისძიებით განგვემტკიცებინა საბჭობა სახელმწიფოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება. ლენინ — სტალინის პარტიას არასოდეს არ დავიწყებია ეს და მუდამ ამზადებდა ჩვენს ქვეყანასა და არმიას აქტიური თავდაცვისათვის.

აქტიური თავდაცვისათვის მზადება არ განისაზღვრებოდა იმით, რომ შექმნილიყო მატერიალური შესაძლებლობანი, რომელნიც ომის შემთხვევაში შეძლებდნენ უზრუნველეყოთ სამხედრო წარმოების სწრაფი ორგანიზაცია და არმიისა და მოსახლეობის შეუფერხებლად მომარაგება სურსათით, ხოლო მრეწველობისა — ნედეულით. ლენინ — სტალინის პარტია ჩვენს ქვეყანასა და არმიას აქტიური თავდაცვისათვის ამზადებდა ამავე დროს პოლიტიკურადაც.

ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციისა და სოციალიზმის გამარჯვების საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში განვითარდა ისეთი მამოძრავებელი ძალები, როგორიც არის საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი. ამ მძლავრმა ძალებმა მკაფიოდ იჩინეს თავი დიდ სამამულო ომში, რომელიც ყველაზე მძიმე იყო იმ ომებიდან, რაც კი ჩვენს სამშობლოს გადაუტანია. ამ ომში საქმე ეხებოდა საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლეს, სსრ კავშირის ხალხთა სიკვდილ-სიცოცხლეს.

გერმანელი ფაშისტი აგრესორები, რომლებსაც ამერიკელი იმპერიალისტები აქეზებდნენ, ვერაგულად და უეცრად დაეხსნენ თავს საბჭოთა კავშირს, მიზნად დაისახეს მოესპოთ ჩვენი სოციალისტური სამშობლო, დაემონებინათ საბჭოთა ადამიანები. სასიკვდილო საფრთხის წინაშე ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა კომუნისტური პარტიის გარშემო, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო.

საბჭოთა არმია, რომელსაც აღფრთოვანებდა და ხელმძღვანელობდა გენიალური მხედართმთავარი ი. ბ. სტალინი, უდიდესი სიმტკიცით, მამაცობითა და თავდადებით იბრძოდა ვერმანელ ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ. დაქანცა და სისხლისაგან დაცალა რა მტერი, იგი აქტიური თავდაცვიდან კონტრშეტევაზე გადავიდა და გვიჩვენა სამხედრო ხელოვნების უბადლო ნიმუშები. საუკუნეებში დარჩება ხსოვნა მისი გამარჯვებისა, რაც მოპოვებულ იქნა ორთაბრძოლაში ჰიტლერის საზარელი სამხედრო მანქანის წინააღმდეგ, რომელიც შექმნილი იყო ამერიკელი და ინგლისელი მილიარდერების ფულით.

გაანადგურა რა გერმანელ ფაშისტთა ჯარები მოსკოვთან, საბჭოთა არმიამ ჩაშალა მტრის გეგმა ჩვენი დედაქალაქის გარშემორტყმისა და აღებისა, დაასამარა „ელვისებური ომის“ გეგმა. სტალინგრადის დიდი ბრძოლა დამთავრდა მტრის 330-ათასიანი რჩეული არმიის განადგურებითა და დატყვევებით, ამ ბრძოლამ დასაწყისი მისცა ძირეულ გარდატეხას მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში. კავკასიონის მთისძირებში ჰიტლერელთა განადგურებამ ჩაშალა მათი გეგმები ჩვენი ნავთობის რაიონებში შეჭრისა და ჩვენი მთავარი რეზერვების სამხრეთში დაბანდებისა. კურსკის ბრძოლამ ბოლო მოუღო მტრის შეტევითს სტრატეგიას. 1944 წლის ათმა გამანადგურებელმა დარტყმამ უზრუნველყო საომარი მოქმედების გადატანა ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ და გამოიწვია ჰიტლერული ბლოკის სრული დაშლა. დიდი სამამულო ომის მატიანეში ბრწყინვალე ფურცლებად შევიდა ჩვენი 1945 წლის გამარჯვებები, რომლებითაც დავამთავრეთ ომი, ბრწყინვალე ოპერაციები აღმოსავლეთ პრუსიაში, ვისლასა და ოდერზე, ბუდაპეშტსა და ვენასთან და, ბოლოს, ბერლინის აღება.

სამარცხვინო ხვედრისაგან ჰიტლერელები ვერ იხსნა ვერც იმან, რომ მათ მხარს უჭერდნენ ოკეანესგაღმელი და სხვა მფარველები, რომლებიც ყოველნაირად აჭიანურებდნენ მეორე ფრონტის გახსნას ევროპაში და სსრ კავშირის ზურგს უკან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ გერმანელ ფაშისტებთან სეპარატული ზავის დადების შესახებ.

დიდი სამამულო ომი ფაშისტურ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე ჩვენი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებით დამთავრდა.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო ოპერაციებს მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი თავისი უფროსი ძმის — დიდი რუსი ხალხის მეთაურობით. საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა ზურგში, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ჩვენი ინტელიგენციის დამსახურება დიდ სამამულო ომში ამხანაგმა სტალინმა შეაფასა როგორც უმაგალითო გმირობა სამშობლოს დასაცავად.

ჰიტლერული გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის დამარცხებით საბჭოთა კავშირმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა მსოფლიო რეაქციას, ხელი შეუწყო დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების ზრდას მთელ მსოფლიოში. საბჭოთა ხალხმა, ჩვენმა სახელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ ღირსეულად შეასრულეს თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობანი ყველა ქვეყნის მშრომელთა წინაშე. საზღვარგარეთის მომშე პარტიებმა, რომლებიც აღტაცებული იყვნენ ჩვენი პარტიის მამაცობითა და წარმატებებით, მას მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის „დამკვრელი ბრიგადა“ უწოდეს. „ამით ისინი იმედს გამოთქვამდნენ, — ამბობდა ამხანაგი სტალინი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე, — რომ „დამკვრელი ბრიგადის“ წარმატებანი მდგომარეობას შეუმსუბუქებდნენ კაპიტალიზმის უღელქვეშ მგმინავ ხალხებს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა პარტიამ გაამართლა ეს იმედები, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როცა საბჭოთა კავშირმა გერმანიისა და იაპონიის ფაშისტური ტირანია გაანადგურა და ევროპისა და აზიის ხალხები იხსნა ფაშისტური მონობის საფრთხისაგან“.

დიდ სამამულო ომში მოპოვებული გამარჯვება ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვება, ჩვენი შეიარაღებული ძალების გამარჯვება იყო.

ამ გამარჯვებას საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები უნდა უმადლოდნენ თავიანთ ბელადსა და მასწავლებელს, საბჭოთა სახელმწიფოს ბრძენ ხელმძღვანელსა და გენიალურ მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს.

III.

მეორე მსოფლიო ომს, რომელიც საერთაშორისო იმპერიალისტებმა მოამზადეს, მათთვის მოულოდნელი შედეგები მოჰყვა. ისინი იმედოვნებდნენ მოესპოთ ან ყოველ შემთხვევაში დაესუსტებინათ საბჭოთა კავშირი, ჩაეხრჩოთ ხალხთა მასების განმათავისუფლებელი მოძრაობა ევროპასა და აზიაში. ნამდვილად კი სრულიად საწინააღმდეგო გამოვიდა.

საბჭოთა კავშირი ომიდან გამოვიდა კიდევ უფრო ძლიერი და განმტკიცებული. მისი საერთაშორისო ავტორიტეტი არაჩვეულებრივად გაიზარდა. ჩვენი გამარჯვების შედეგად მოხდა მსოფლიო იმპერიალიზმის შემდგომი დასუსტება, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების განმტკიცება და ზრდა. კაპიტალიზმის სისტემას ჩამოშორდნენ ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნები, რომლებშიც სახალხო-დემოკრატიული წყობილება დამკვიდრდა. ისტორიული გამარჯვება მოიპოვა დიდმა ჩინელმა ხალხმა, რომელმაც თავისი თავისუფალი სახალხო რესპუბლიკა შექმნა. ევროპის ცენტრში შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ახლა კაცობრიობის უკვე ერთი მესამედი განთავისუფლებულია იმპერიალიზმის უღლისაგან. შეკავშირებული, მძლავრი სოციალისტური ბანაკი, რომელსაც სათავეში სსრ კავშირი უდგას, იზრდება და წარმატებას წარმატებაზე აღწევს.

აგრესიული იმპერიალისტური ბანაკი, რომელსაც სათავეში ამერიკის შეერთებული შტატები უდგანან, რომელსაც შინაგანი წინააღმდეგობანი ღრღნიან და რომლის ეკონომიკასაც მზარდი წინააღმდეგობანი არყევენ, ჩიხიდან გამოსავალს ეძებს ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების გზით. ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები, რომლებიც სათავეში უდგანან საერთაშორისო რეაქციას, ავაზაკურ, დამპყრობლურ ომს ეწევიან კორეელი ხალხის წინააღმდეგ, აკოწიწებენ სხვადასხვა აგრესიულ ბლოკებს, ახორციელებენ დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის რემილიტარიზაციას. ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები და მათი ხელქვეითნი სისხლისმღვრელ ომს ეწევიან კორეაში. ადგენდნენ რა მსოფლიო ბატონობის ხელში ჩაგდების გეგმებს, ისინი ემზადებიან სსრ კავშირზე და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე თავდასასხმელად.

საბჭოთა ხალხი, ისევე როგორც ომამდელ წლებში, თავის ძირითად ღონისძიებებს მშვიდობიანი მშენებლობის საწარმოებლად მიმართავს. ლენინ — სტალინის პარტიის შთაგონებითა და ხელმძღვანელობით მან ვადამდე შეასრულა მეოთხე ხუთწლედის გეგმა სამრეწველო პროდუქციის ოდენობის მხრივ, მიაღწია მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას, მშრომელთა კულტურის ამაღლებასა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

გადაჭარბებით არის შესრულებული მეხუთე სტალინური ხუთწლედის დავალებანი, რომლებიც გათვალისწინებული იყო 1951 და 1952 წლებისათვის, ე. ი. ხუთწლედის პირველი ორი წლისათვის. ამრიგად, შექმნილია ხელსაყრელი პირობები მთლიანად ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, რაც ახალი დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ სსრ კავშირის განვითარების გზაზე და კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი სამშობლოს აქტიური თავდაცვის ეკონომიკურ ბაზას.

კომუნისტურ პარტიას თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია „ყოველნაირად განამტკიცოს საბჭოთა სამშობლოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან“.

საბჭოთა ადამიანებს ყოველთვის ახსოვთ ლენინისა და სტალინის გაფრთხილება, რომ სანამ არსებობენ იმპერიალისტური სახელმწიფოები, სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, მანამდე იარსებებს ჩვენს სამშობლოზე იმპერიალისტ მტაცებელთა შეიარაღებული თავდასხმის საფრთხეც.

ერთი წუთითაც არ უნდა ვივიწყებდეთ, რომ რაც უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი წარმატებანი, მით უფრო ვერაგულად მოქმედებენ იმპერიალისტები, ყოველნაირად ცდილობენ რა ხელი შეუშალონ ჩვენს წინსვლას. მათი მხარდაჭერით მოქმედებენ ბურჟუაზიული შეხედულებებისა და ბურჟუაზიული მორალის მატარებლები — ცოცხალი ადამიანები, საბჭოთა ხალხის ფარული მტრები. ეს ქვეწარმავლები ცდილობენ რაც შეიძლება უფრო მტკივნეულად დაგვგესლონ, რასაც მოუშობს ექიმ-მავნებლების, საზიზღარი ჯაშუშებისა და მკვლელების — ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტთა დაქირავებული აგენტების საქმე. აი რატომ არის საჭირო, რომ გადაჭრით მოვუღოთ ბოლო უდარდელობისა და დოყლაპიობის თუნდაც ოდნავ გამოვლენებას ჩვენს რიგებში.

ახსოვს რა კაპიტალისტური გარემოცვა, ჩვენი ხალხი განუწყვეტლივ განამტკიცებს საბჭოთა არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს, აძლიერებს თავის სიფხიზლეს ომის გამჩაღებლებისა და მათი აგენტურის ხრიკების წინააღმდეგ.

ამერიკელი იმპერიალისტები და მათი აგენტურა იმუქრებიან, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშინება შეუძლებელია. ჩვენს ხალხს აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვს, მისთვის უჩვეულო საქმე არ არის მტრების დამარცხება. საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ამარცხებდა მტრებს და გააცამტვერა ისინი სამოქალაქო ომის წლებში, ამარცხებდა მათ მეორე მსოფლიო ომის წლებში და დაამარცხებს ყოველთვის, როცა კი ისინი გაბედავენ ხელი შეუშალონ ჩვენს მშვიდობიან შრომას.

სსრ კავშირის სამხედრო მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ამხანაგი ა. მ. ვასილევსკი კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე ამბობდა: „საბჭოთა არმიის საბრძოლო და ოპერატიული მომზადების, მისი მობილიზაციური და საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობა სრულ უფლებას გვაძლევს პიროდა მივცეთ პარტიას, მთავრობას და პირადად ამხანაგ სტალინს, რომ საბჭოთა არმია ღირსეულად შეასრულებს მისთვის დაკისრებულ ამოცანებს საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომის დაცვის დარგში, საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის დარგში“.

საბჭოთა სახელმწიფო თანმიმდევრულად და განუხრელად ახორციელებდა და ახორციელებს „მშვიდობისა და ხალხთა შორის საქმიანი თანამშრომლობის პოლიტიკას. ჩვენს ხალხს ომი არა სურს. მაგრამ თუ მტრები თავს მოგვახვევენ ომს, ისინი სასტიკად დამარცხდებიან.

თავის მოხსენებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს

★ ★

სტალინის სახელით

არის სახელი, რომლისკენაც მიმართულია მილიონთა გულიდან გამბული უხილავი სიმები, და თვით ამ სახელიდან, როგორც მზიდან მილიონთა გულისკენ მოემართება ასევე უხილავი, მაგრამ თითქოს ხელშესახებად საგრძნობი სიმები.

ეს სიყვარულის სიმებია ხალხსა და ბელადს შორის გავლებული, და ახლა, ხალხი რომ ზეიმობს, სიმღერა და ყრიამული რომ დგას, სიხარულისა და ბედნიერების ჰანგები რომ იფრქვევა, — ეს ამ სიმთა ყრერაა.

ზეიმობს მადლიერი ხალხი სტალინის სახელით გულში, სტალინის სახელით ბაგეზე, სტალინის სახით თვალწინ, სტალინზე ფიქრით.

სტალინზე ფიქრი ხალხისთვის იგივეა, რაც სუნთქვა. და დღეს, ამ ადრე გაზაფხულის პირზე, ამ მზისსხივდაფრქვეულ დილას ნიავი რომ ქრის, თითქოს ხალხის სუნთქვაა, შორს გაჭრას რომ ლამობს, კრემლში შეღწევას რომ ლამობს, რათა ბელადს გადასცეს ხალხის ჰაეროვანი ამბორი.

როდესაც ლამარა სუჯაშვილი — თვრამეტი წლის მეთერთმეტეკლასელი გოგონა, თბილისის № 8 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველი, ერთ-ერთი პირველი მივა საარჩევნო ყუთთან ბიულეტენით ხელში, ოცნების თვალით წარმოიდგენს მას — ნახავს სტალინს. და პირველი სიტყვა, მის ბაგეთაგან წარმოთქმული, იქნება — სტალინი, ვისზედაც ფიქრში მან ეს ბედნიერი დილა გაითენა, ვისზედაც ფიქრით ის დღეს პირველად განახორციელებს თავის მოქალაქეობრივ უფლებას.

როდესაც ოთხმოც წელს მიღწეული ამომრჩეველი იმავე საარჩევნო ოლქიდან, ძველი მუშა ისაკი ლელაშვილი საარჩევნო ყუთთან მივა, იქვე სტალინის პორტრეტს უთუოდ დიდხანს, დიდხანს სიყვარულით დაუყურებს მზერას თავისი მრავლის მნახველი თვალებით, რომლებშიც უსაზღვრო სიხარულის, წარსულის მოგონებისა და უკეთესი მომავლის იმედის სხივი აციმციმდება. იგი ბიულეტენს ყუთში ჩაუშვებს სტალინზე ფიქრით.

როდესაც ბედნიერი დედა-ამომრჩეველი საარჩევნო უბანში შემოიყვანს თავის პაწიას, რომ ამ საყოველთაო-საახალხო სიხარულს თავისი პირმშოც აზიაროს, — ჩვილი, შეამჩნევს რა ნაცნობ სახეს — მშობლიური ადამიანის პორტრეტს, — შესძახებს:

— სტალინი, დედილო!

სახელი, რომელსაც ბავშვების უმანკო ბაგენი პირველად დედის სახელთან ერთად წარმოთქვამენ, არის სტალინი.

სტალინის სახელი დედის სახელთან ერთად გულით უტარებიათ ფრონტზე საბჭოთა მეომრებს.

მახსოვს, იყო ჩვენთან, ფრონტზე, მეტყველმფრქვეველი პავლე სერდიუკი — ხან მგზნებარე და ტემპერამენტიანი, ხან ჩაფიქრებული და მეოცნებე ქალიშვილივით ნაზი.

— იცით რა, ძმებო, — უთხრა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაგამოვლილ თანამოიარაღეებს ახალგაზრდა ოკრაინელმა, — ყველაზე სახიფათო მომენტშიც კი სტალინზე ვფიქრობ, და როცა სტალინის სახელს გული იმეორებს, ასე მგონია არ უნდა მოვკვდე — მე ხომ სტალინის საქმისათვის ვიბრძვი, მართალი საქმისათვის, ხოლო მაინც თუ მოვკვდები, დაე სტალინის სახელით ბაგეზე, რათა ცამ და მიწამ გაიგოს, რომ მართალი საქმისათვის დავეცი!

სტალინი! — აქვს ამ სახელს შთამაგონებელი ძალა — გადაგალახვინოს, ბურუსი გაგარღვევინოს, გზა გიჩვენოს. ამ სახელით გულში იმარჯვებენ მილიონები მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ფრონტზე და ამ სახელით გულში მიიკვლევენ გზას კომუნიზმის მშვენიერ ვალებისაკენ.

ყველა ეროვნების ადამიანებს ესმით ერთიმეორის ენა ამ სახელის მეშვეობით, და ყველა ეროვნების პატიოსანი ადამიანები ერთმანეთს უნათესავდებიან ამ სახელით.

სტალინი! — იმეორებს კორეელი დედა და იმედით იმსჭვალება.

სტალინი! — წარმოთქვამს ფრანგი დოკერი და ნათელ მომავალს ხედავს.

სტალინი! — ამბობს ნიუ-იორკის გარუბნის ჯურღმულში კაპიტალის შავი ძალისაგან ჩაწიხლული ზანგი და თავისუფლებას მოწყურებული წელში იმართება.

სტალინი — ეს კაცობრიობის ბედნიერება და მომავლის იმედია, სტალინი მშვიდობა და მარადიული გაზაფხულია, სტალინი სიცოცხლეა.

და აი დღეს მილიონობით საბჭოთა ადამიანები ერთხელ კიდევ ახალი ძალით უჩვენებენ თავიანთ ერთგულებას საარჩევნო ყუთთან — ერთსულოვნად აძლევენ რა ხმას კაცობრიობის ამ იმედსა და მომავალს, ხალხთა დიდ ბელადს, მშობლიურ სტალინს — დეპუტატობის პირველ კანდიდატს.

სტალინს ხმას აძლევს ქართველი ხალხი. ერთიმეორეს გულით ეხმაურებიან ქალაქები, სადაც ბელადი კენჭს იყრის.

დღეს ბელადს ხმას აძლევს მისი სამშობლო ქალაქი გორი, სადაც იგი დაიბადა, ბავშვობა და ყრმობა გაატარა, საიდანაც აფრინდა იგი — რევოლუციის არწივი, კაცობრიობის გაზაფხული.

დღეს ბელადს ხმას აძლევს რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი, ხმას აძლევს ლენინის რაიონი — ყოფილი ნაძალადევი — ახალგაზრდა სტალინის პირველი რევოლუციური წრთობის აკვანი.

დღეს ბელადს ხმას აძლევენ ქალაქები ბათუმი და ქუთაისი, სადაც ახალგაზრდა სტალინი მუშებს რაზმავდა თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის.

დღეს ბელადს ხმას აძლევს საქართველოს შავიზღვისპირეთის მშვენება და სიამაყე — ქალაქი-ბაღი სუხუმი, ბელადს ხმას აძლევენ სტალინირი და ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედების პირმშო, მეფოლადეთა ახალი სოციალისტური ქალაქი რუსთავი.

მაგრამ ამ ქალაქებთან ერთად, მათ მშრომელებთან ერთად მშობლიურ სტალინს ხმას აძლევს მთელი ქართველი ხალხი.

ხალხი ხმას აძლევს სტალინს, როგორც კაცობრიობის გაზაფხულის სიმბოლოს, ბედნიერებას, უფრო უკეთეს მერმისს — ხმას აძლევს კომუნიზმს, რომლის ელვარე მშვენიერებას თვითონ სტალინი გვიახლოვებს.

ვ. თოლორდავა.

მეფოლადეთა შრომითი მამაცობა

რუსთავი. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადეებმა არჩევნებისათვის მზადების დღეებში დიდად გააძლიერეს მუშაობის ტემპი. 18 თებერვლამდე მათ განახორციელეს 88 ჩქაროსნული დნობა და გეგმის გადაჭარბებით გამოადნეს მრავალი ასი ტონა ფოლადი.

არჩევნების დღის აღსანიშნავად მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის ბრძოლაში დაწინაურდნენ მეოთხე კომკავშირული ღუმელის მეფოლადეები — ზ. კვახაძე, ტ. შენგელაია და ვ. ჭაბაშვილი. 18 დღეში მათ 17 ჩქაროსნული დნობა განახორციელეს.

ინდივიდუალურ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელა მეფოლადე შ. შუბითიძემ, რომელმაც თებერვლის 18 დღის დავალება 118 პროცენტით შეასრულა. ჩქაროსნულ დნობათა რაოდენობის მხრივ ყველაზე კარგი მაჩვენებლები აქვს ახალგაზრდა მეფოლადეს გ. სეფსკვერაძეს.

საამაყო შრომითი მაჩვენებლები მოიპოვა აგრეთვე თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა მეფოლადე ი. მეტრეველმა. მან 22 თებერვლამდე რამდენიმე ჩქაროსნული დნობა განახორციელა და გეგმის გადამეტებით მიღო ასობით ტონა ფოლადი.

არჩევნების დღის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები წარმატებით შეასრულეს ქარხნის სხვა ძირითადი საამქროებისა და დამხმარე საწარმოების მოწინავე ადამიანებმა.

წარმატებით იბრძოდნენ ამ დღისათვის მაღალი მაჩვენებლების მოსაპოვებლად მშენებელთა კოლექტივებიც.

★ ★



მზეს ეძახიან სტალინს

სტალინს ახსენებ თუ არა,
ცამდე იჭიქებს ვაშა.
ვაშა გულების ხმა არი,
ტაში ქარიშხლის გაშლა.
თითქოს ჩანჩქერი შხუოდეს,
ისე გუგუნებს ხალხი.
ყველას წინ უდგას გორი და
ბრძენის პატარა სახლი.
აქ აღმობრწყინდა ციხარი,
შუქი ელვარე მზისა,
ვინც სიცოცხლე და სინათლე
კაცობრიობას მისცა.
წინ გვიდგას მისი სახება,
ვინც გაუნათა ყველას.
გვინდა უსაზღვრო მადლობა
ვუთხრათ საყვარელ ბელადს.
მისი დიდება გაისმის
ზვრებში, ალაზნის ველად.

ქართული პურის ყანებიც
სალამს უთვლიან ბელადს.
შრება კოლხეთის ჭაობი,
ხეზე ნარინჯი ელავს.
ლიმონის ტყრფა ბაღებიც
სალამს უთვლიან ბელადს.
მას ესალმება მთებიდან
ზვირთებკამკამა რიცაც,
ტბაც დღეგრძელობას უსურვებს,
ვინც სულ მშვიდობას იცავს.
კრემლშია ხალხთა იმედი,
მართავს სამყაროს საქეს.
მისი სიბრძნე და სიმართლე
ყველგან გაზაფხულს აჩენს.
ჩვენც ამ გაზაფხულს ვუმღერით,
მზისკენ გვიჭირავს თვალი.
მზე კი ამ ქვეყნად ერთია,
მზეს ეძახიან სტალინს.

ვ. ჟურული.

ჩვენი წრფელი ხმაც, ჩვენი მადლობაც

თუ არა ჩვენი მძლავრი პარტია,
ვისი სიმტკიცეც ჯავშნად გვარტყია,
თუ არ ბელადის ბრძნული სარდლობა,
ვინ გვაღირსებდა მშობლიურ ამაგს.
ჩვენი წრფელი ხმაც, ჩვენი მადლობაც,
ჩვენი სიცოცხლეც — სამშობლოს მამას!
როცა მტარვალი ტყვიებს გვაყრიდა,
მტერს მან აგემა დარტყმა ძლიერი.
მან გაგვამდიდრა,
მან დაგვამკვიდრა,
მისი გენიის ვართ მადლიერი.

მან დიდ სამშობლოს, დედა-სამშობლოს
ბულს ჩაუნერგა ძალა მთებური.
ბრწყინავს მამულის ვრცელი მთა-ბარი,
მისი ღიმილით განათებული.
თუ არა ჩვენი მძლავრი პარტია,
ვისი სიმტკიცეც ჯავშნად გვარტყია,
თუ არ ბელადის ბრძნული სარდლობა,
ვინ გვაღირსებდა მშობლიურ ამაგს...
ჩვენი წრფელი ხმაც, ჩვენი მადლობაც,
ჩვენი სიცოცხლეც — სამშობლოს მამას!

ა. გეგაშვილი.

★ ★

ბედნიერება

სამხრეთ ოსეთის მკვიდრი კვლავ არაერთხელ გაიხსენებს ზამთრის ამ შესანიშნავ დილას.

სტალინირის ქუჩებში ადამიანები ხელს ართმევდნენ ერთმანეთს და ულოცავდნენ ნამდვილ ბედნიერებას.

...ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელ სამხრეთ ოსეთში ამბავი, რომელიც არასოდეს არ მიეცემა დავიწყებას.

— დიდი სტალინი თანახმაა კენჭი იყაროს ჩვენთან!

უბრალო სიტყვებით ვერ გამოითქმის დიდი სიხარული. მაგრამ ამ სიხარულის მიზეზის დანახვა შეიძლება შესანიშნავი ცვლილებებით, რაც ჩვენს გარშემო მოხდა და ხდება.

მდინარე დიდი ლიახვის სანაპიროზე გაშენებულ ქალაქს, რომელიც ამაყად ატარებს დიდი ბელადის სახელს, აქვს სიხარულის მრავალი მიზეზი. მას ჰქონდა გამურული სამეფლოები. ახლა ქალაქში მუშაობენ ქარხნები. ახალგაზრდა მრეწველობით ამაყობს ქალაქი. ეს არის სიხარულის მიზეზი. თითებზე ჩამოითვლებოდა წერა-კითხვის მცოდნე ადამიანები სტალინირში. მშრომელი კაცისათვის წიგნი მიუწვდომელი იყო. ახლა ყოველ დილით გაისმის ქალაქში სკოლების ზარების წკრიალი, გადით დილით ქუჩაში, შეხედეთ სკოლებისაკენ მიმავალ ასობით ნორჩ სტალინირელს. ბედნიერების ღიმილს დაუმშვენებია მათი სახე. ქალაქში არსებობს პედაგოგიური ინსტიტუტი, ტექნიკუმები, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო დაწესებულებანი. ეს არის ადამიანის უფლების გამარჯვების ზეიმი, ეს არის სრულფასოვანი სიხარულის მიზეზი. მატარებლის ხმა ისმის სტალინირში, აქ რკინიგზელთათვის ააგეს სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი. აქ მეისრეს მისცეს ნათელი და ფართო ბინა. ეს ჩვენი ცხოვრების დამახასიათებელი დეტალია...

სტალინირელებმა იციან, რომ ყველა სიკეთე მათ სტალინმა შეუქმნა, ამიტომ წინასაარჩევნო კრებებზე, როცა განახლებული ქალაქის მშრომელები ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს ასახელებდნენ, მათ პირველ კანდიდატად დაასახელეს:

სტალინი!

ოლქის ყველა ამომრჩეველი, კავკასიონის ულელტეხილთან შორეულ როკში ცხოვრობს იგი თუ ქსნის ხეობაში, ზნაურსა თუ ერთმანეთში, თავის სიხარულს უერთებს ქალაქ სტალინირის სტალინის № 2 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა აღფრთოვანებას, იმ ადამიანთა აღფრთოვანებას, რომლებიც დღეს მიიღებენ ბიულეტენს, სადაც აღბეჭდილია ყველაზე ძვირფასი და მახლობელი სახელი — სტალინი!

სამხრეთ ოსეთის ახალგაზრდა მრეწველობის მუშაკები დიდი ზეიმის ამ დღეს, როცა საარჩევნო ყუთთან მივლენ, იტყვიან — წინათ ჩვენში არ არსებობდა არც ერთი საწარმო. დიდმა სტალინმა ჩვენს მხარეშიც დაამკვიდრა მრეწველობა. ამ ეპოქის შემოქმედის დღეგრძელობას ვაძლევთ ხმას!

კოლმეურნე ამბობს: მამაპაპური კავისა და ცელის ნაცვლად, ჩვენს განკარგულებაშია ტრაქტორი და კომბაინი. ცხოვრება და შრომა სახალისოა. მადლობა სტალინს! ხმას ვაძლევ ჩვენი მინდვრების აყვავებას, აღორძინებას.

მასწავლებელი, როგორც ღვიძლი მშობელი, ისე ზრუნავს პატარების აღზრდისათვის. იგი გრძნობით წარმოთქვამს: — სტალინის ღიმილით ხარობენ ჩვენი დიდი სამშობლოს ყვავილები — ბავშვები. მე ამ სიხარულს ვაძლევ ხმას!

ყველა პროფესიის ადამიანს აქვს თავისი სათქმელი. ისინი სხვადასხვა სიტყვით გამოთქვამენ თავიანთ მადლობას და კმაყოფილებას.

შრომაში ახალ-ახალი მამაცობით გამოხატავენ სტალინირელები თავიანთ აღტაცებას, გამოწვეულს ბელადის თანხმობით. ისინი სწორად ფიქრობენ: მაღალი ნდობა, რომელიც მათ გამოუცხადა დიდმა სტალინმა, მოითხოვს ყოველდღიურ მუშაობაში მეტი სიბეჯითის, მეტი სიფხიზლის გამოჩენას. ბევრი რამ გვაქვს საამაყო, მაგრამ სტალინის თანხმობა გვავალებს კრიტიკულად შევაფასოთ მუშაობის შედეგები. უფრო გაბედულად გავუკაფოთ გზა ახალს, პროგრესულს. ამ შეგნებით ბედნიერი ქალაქის მკვიდრნი თვალს უსწორებენ ახალ ამოცანებს. მტკიცე და ერთსულოვანია მათი გადაწყვეტილება — ქალაქი მუდამ ღირსეულად ატარებდეს დიდი სტალინის სახელს!

სტალინირელი მშრომელები ხარობენ იმით, რომ მათ ქალაქში კენჭს იყრიან მშობლიური სტალინის უახლოესი თანამებრძოლები გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, საქართველოს კომპარტიის მებრძოლი ხელმძღვანელი ა. ი. მგელაძე.

ამომრჩეველი აღტაცებით იღებს ბიულეტენს, რომელზეც აღბეჭდილია დიდი სტალინის სახელი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეების სახელები. ასეთ ბიულეტენთან ერთად იგი იღებს ბიულეტენს, რომელზეც აღნიშნულია უბრალო მუშის, ექიმის, მასწავლებლის სახელი და ადამიანი გულით განიცდის სრულ ბედნიერებას, როცა ხედავს, თუ რა მჭიდრო, სისხლხორცეულია კავშირი ბელადსა და მასებს შორის.

სიხარულით მიდიან რა საარჩევნო ყუთთან, ადამიანები ფიქრობენ ამ ბედნიერებაზე, ხმას აძლევენ ამ ბედნიერებას!

ვ. გელაშვილი.

ნაკისრი ვალდებულება განაღდებულია

არჩევნებისათვის მზადების დღეებში მაღალნაყოფიერად მუშაობდა თბილისის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხნის კოლექტივი. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლილ ქარხანამ გასული წლის მეოთხე კვარტალის გეგმა ყველა სახის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულა.

უსაზღვრო იყო ქარხნის კოლექტივის სიხარული, როცა შეიტყეს, რომ ამხანაგი ლ. პ. ბერია დათანხმდა თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ქ. თბილისის სტალინის № 17 საარჩევნო ოლქში. ყველა საამქრომ წარმატებით იმუშავა ამ დღეებში. განსაკუთრებით დაწინაურდა საამქრო, რომელსაც ხელმძღვანელობს გრიგოლ სარჩიმელია.

საამქროს მუშებს პირობა ჰქონდათ დადებული იანვარ-თებერვლის დავალება 22 თებერვლისათვის შეესრულებინათ. მათ პირობა გაანაღდეს: ორი თვის გეგმა 22 თებერვლისათვის გადაჭარბებით შეასრულეს და დიდი რაოდენობით გამოუშვეს კულტივატორები, დაზგები, გუთნები.

მაღალნაყოფიერი შრომით სახელი გაითქვა საამქროს ზეინკალმა კომკავშირელმა ა. ხიზანიშვილმა. მან იანვრის დავალება 180 პროცენტით შეასრულა, თებერვლის გეგმა კი — 21 თებერვლისათვის გადაჭარბებით გაანაღდა. ნაკისრი ვალდებულება 22 თებერვლისათვის პირნათლად შეასრულეს ზეინკლებმა ვ. ტაბლიაშვილმა, დ. მემანიშვილმა, სახერხი დაზგების ამწყობმა ვ. კვინიკაძემ და სხვებმა.

სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხნის კოლექტივი დღეს სამშობლოს უპატაკებს: ნაკისრი ვალდებულება შესრულებულია! მომავალში უკეთესად ვიმუშავებთ!

ნ. ჯანჯღავა.

წერილი ჭიათურიდან

„მაშ ვიდგეთ მტკიცედ ჩვენს მოთხოვნებზე და არ ვუღალატოთ ერთმანეთს! ნუ შეგვაშინებს საზიზღარი თვითმპყრობელობა... ვაგრძნობინოთ მას, რომ ჩვენც ადამიანები ვართ და ადამიანურ უფლებებსა და პატივს მოვითხოვთ ჩვენს მოძმეებთან ერთად“. ამ სიტყვებით მთავრდებოდა ჭიათურელ მაღაროელთა პოლიტიკური გაფიცვის დროს გამოშვებული მოთხოვნები ნახევარი საუკუნის წინათ.

„დიახ, ამხანაგებო! ჩვენი მუშური დასერილ-დაკოჟრებული ხელებით დაილეწება მონობის ბორკილები. ჩვენი მედგარი იერიშით დაიმსხვრევა ხალხის ძვლებზე აგებული ტახტი მეფისა. გამწკრივებული მუშათა რაზმი, ბრძოლის წყურვილით გატაცებული, საზიზღარი თვითმპყრობელობის ნანგრევებზე თავისუფლების დროშას ააფრიალებს“. ასე მხნედ, მტკიცე რწმენით და დამჯერებლად მოუწოდებდა ჭიათურის მაღაროელებს სტალინური პროკლამაციების მგზნებარე სტრიქონები 1905 წლის ქარიშხლიან დღეებში. დიდი სტალინის ხელით ჭიათურაში დაწერილ პროკლამაციებში ვხვდებით მხურვალე მოწოდებას დემოკრატიზმისა და სოციალიზმისაკენ, საყოველთაო და თანასწორი არჩევნებისაკენ.

დიდი სტალინის შთამაგონებელ სიტყვებს მაღაროელებისთვისაც არ ჩაუვლია ამაოდ. ჭიათურელმა მაღაროელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ლენინ — სტალინის პარტიის, მშობლიური სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით კარგა ხანია ბედნიერი ცხოვრება დაიმკვიდრეს, მოიპოვეს ყველა ადამიანური უფლება, რაც ოქროს ასოებით ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში. სახელოვანი ბრძოლა და შრომა უნაყოფოდ არ დაკარგულა.

დღეს მარგანეცის ქალაქი წარმატებით ხვდება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს, საბჭოთა საქართველოს სახელოვან თარიღს. ინდუსტრიული ჭიათურა მთელი მკერდით სუნთქავს, შემოქმედებითს შრომას ეწევა.

წინ მიდის ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელსაც ინჟინერი შ. პაქსაშვილი ხელმძღვანელობს. ეს მაღარო ყოველთვიურად იძლევა თითქმის იმდენსავე მარგანეცს, რაც უდღეურმა მენშევიკებმა სამი წლის განმავლობაში გამოიღეს. მაღარო აღჭურვილია უახლესი სამთო მექანიზმებით, მაღაროს ჰყავს გამოცდილი, ტექნიკას დაუფლებული ადამიანები. მბურღავ გ. თოდაძის ნოვატორული მეთოდი მარგანეცის მრეწველობაში ინერგება. მისი მიმდევრები არიან ახალგაზრდა მბურღავები გერვასი და ივანე შეყლაშვილები, მ. სამხარაძე და სხვები, ამ მაღაროს სტახანოველი ამწმენდი დავით კილაძე, მეორე გამოჩენილი ამწმენდი ვალერიან გათრინდაშვილი. ისინი სტახანოვურ ვახტზე დგანან და დღეისათვის პირველი კვარტალის გეგმა შეასრულეს. ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი კი არჩევნების დღეს იანვარ-თებერვლის გეგმის შესრულებით შეეგება.

თავდადებული შრომაა გაჩაღებული სტალინის სახელობის მაღაროშიც. ახალ წარმატებას აღწევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. ფოფხაძე, რომელიც ახლახან მარგანეცის მტვირთავ მანქანას დაეუოთლა. ნოვატორის მაგალითს ბევრმა მუშამ მიბაძა. მამაცურად შრომობს ამავე მაღაროს ახალგაზრდა მებიგე დ. ჭანკვეტაძე.

ამ დღეებში ჭიათურელებმა მეგობრული წერილი გაუგზავნეს მომძე უკრაინის — ნიკოპოლის მაღაროელებს. გრძელდება შეჯიბრება ნიკოპოლელ თანამოსაქმეებთან. იბრძვიან იმისათვის, რომ წლიური გეგმა 20 დეკემბრისათვის შეასრულონ. ახლახან დაბრუნდნენ უკრაინიდან ახალგაზრდა სპეციალისტები. ისინი ჭიათურაში უკვე ნერგავენ თანამოძმეთა გამოცდილებას.

მაღაროელთა დაუღალავი და მამაცური შრომით ჭიათურიდან განუწყვეტლად მიედინება მარგანეცით დატვირთული ეშელონები მშობლიური მეტალურგიული ქარხნებისაკენ. შეუფერხებლად, შეწყობლად მუშაობენ ჭიათურელი რკინიგზელებიც. მათ პირველი ადგილი მოიპოვეს ამიერკავკასიის რკინიგზაზე და ამ დღეებში საზეიმოდ ჩაიბარეს ამიერკავკასიის რკინიგზისა და პროფკავშირთა საგზაო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

სამთო ლაბორატორიის ინჟინერ-სპეციალისტები ახალი სამთო მექანიზმების დანერგვისა და სრულყოფისათვის მუშაობენ. ისინი აწარმოებენ ინჟინერ დ. გელაშვილის კონსტრუქციის მტვირთავი მანქანის გამოცდას. გამოცდის პროცესია აგრეთვე მადნის ელექტრომტვირთავი მანქანა. ლაბორატორია მუშაობს სამთო კომბაინის ათვისება-გამოყენებისათვის. ინჟინრები კ. ჯინჭველაშვილი, ა. მოდებაძე, ი. კაკაბაძე მადნის გაუხვების ტექნოლოგიის გაუმჯობესების საკითხებზე მუშაობენ. ინჟინერ-რაციონალიზატორები გ. წიწილაშვილი, დ. ჩიხელიძე, შ. რიჟამაძე და სხვები ახალ რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვაზე ფიქრობენ. ინჟინრები დ. გელაშვილი და ვ. ციცვიძე სადისერტაციო შრომას ამზადებენ ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

მარგანეცის ქალაქში ახლა ექვსი საშუალო სკოლა, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება, საუცხოო თეატრი, კულტურის სახლი, კინოთეატრი, საბავშვო სახლი და რამდენიმე საბავშვო დაწესებულებაა. ახალგაზრდობა ბედნიერად ეუფლება მეცნიერებათა საფუძვლებს. მარტო მოზრდილთა საღამოს სკოლებსა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე წარმოებისაგან მოუწყვეტლივ 300-ზე მეტი მაღაროელი სწავლობს.

წინასაარჩევნო დღეებში პირველი საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეებმა წერილობითი ურთიერთობა დაამყარეს ქ. სოფიის რუსული სკოლის მეათეკლასელთან პემი ვოდნიანსკასთან. ბულგარელმა ქალიშვილმა ჭიათურელ მოსწავლეებს მეგობრული წერილი გამოუგზავნა. ჭიათურელებმა გულთბილი პასუხი გაუგზავნეს სოფიელ თანაკლასელს. ისინი სწერენ, რომ ამაყობენ იმით, რომ ნახევარი საუკუნის წინათ ჭიათურაში მოღვაწეობდა მშობლიური სტალინი; ამაყობენ, რომ ჭიათურაში არის ბულგარელი ხალხის სასიქადულო შვილის გ. დიმიტროვის სახელობის მაღარო. ჭიათურელებმა მეგობრულ წერილთან ერთად პემი ვოდნიანსკას უკვდავი შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანი“ გაუგზავნეს.

ამ დღეებში განსაკუთრებით დიდი გამოცოცხლებაა ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმში. აქ მოდიან ექსკურსანტები შორეული ქალაქებიდან, მოდიან მაღაროელები, ინტელიგენტები, დიასახლისები. დიდი ინტერესით ეცნობიან მშობლიური სტალინის მოღვაწეობას ჭიათურაში. მადლობას უთვლიან ბელადს.

შემოქმედებითი მუშაობა ძლიერდება ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრსა და კულტურის სახლში. თეატრი წარმატებით უჩვენებს ახალ დადგმებს „ოთარაანთ ქვრივს“ და „ალანის ოჯახს“. 16 თებერვალს მოეწყო მაყურებელთა შეხვედრა თეატრის შემოქმედებითი კოლექტივთან. იქ ბევრი რამ საყურადღებო ითქვა.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე ჭიათურა საფუძვლიანად გამოიცვალა. იგი ის აღარ არის, რაც წინათ იყო. ეს უდავოა. მაგრამ ისიც მართალია, რომ ჭიათურის კეთილმოწყობისათვის ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. ამ ამოცანის გადაჭრა მომავალი დეპუტატების კეთილშობილური საქმე იქნება.

მარგანეცის ქალაქის მშრომელები შრომითი და შემოქმედებითი აღმავლობით ხვდებიან არჩევნების დღეს. დღეს ისინი საარჩევნო ურნებში მიდიან თავიანთი სამშობლოსათვის კანონიერი სიამაყის გრძნობით.

ვ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მოკლე შენიშვნები

მარიონეტთა სპექტაკლი

ამბობენ, ბრიტანელი ლორდები ძველთაგანვე ცნობილნი არიან როგორც ყველაზე „პრაქტიკული“ ადამიანები. რაც მართალია, მართალია! ჯონ ბულის „მახვილმა“ გონებამ „შექმნა“ არა მარტო დაუწერელი კონსტიტუცია, რომელსაც საკუთარი პერანგივით იყენებენ ჯენტლმენები სიტიდან, არამედ საარჩევნო ბიულეტენსაც შეუცვალა კონსტრუქცია.

საქმე შემდეგშია: ამომრჩეველი იღებს ბიულეტენს, რომლის ყუაც საარჩევნო უბანში რჩება. ბიულეტენის მიღებისას რიგითი ნომერი, რომლითაც ამომრჩეველი აღნიშნულია სარეგისტრაციო სიაში, გადაიტანება, როგორც ბიულეტენის უკანა მხარეზე, ისე მის ყუაზეც. საკმარისია შემდეგ აიღოთ ეს ბიულეტენი და მონახოთ მისი ყუა, რომ დადგენილ იქნას, თუ ვის მისცა ხმა ამა თუ იმ ამომრჩეველმა.

და ყოველივე ამის შემდეგ ჯონ ბულს შეუძლია „მიამიტური“ გაოცებით გკითხოთ: „როგორ, არ გჯერათ, რომ ჩვენში არჩევნები ფარული კენჭისყრით მიმდინარეობს? აი ეს არის ფარული კენჭისყრა!“

დიდი მიხვედრილობა არ სჭირდება იმას, თუ რას წარმოადგენს ხმის მიცემის ასეთი „ფარული“ წესი, რომელიც გამოყენებული იყო უკანასკნელი არჩევნების დროს ინგლისის მთელ რიგ საარჩევნო ოლქებში. მაგრამ სტერლინგის ეს უხეირო მასხარები მაინც და მაინც არ იწუხებენ თავს ამაზე ფიქრით.

რით განსხვავდება ერთმანეთისაგან ის ორი „წამყვანი პარტია“, რომლებიც ახე გამწარებით თამაშობენ არჩევნების დროს კეკემალულობანას და ცდილობენ სხვებს შეაყარონ თვალში ნაცარი? ინგლისელი ჟურნალისტი დერეკ კარტერი წერდა: „წინასაარჩევნო „ბრძოლა“ ლეიბორისტ ლიდერებსა და კონსერვატორთა შორის მართლაც რომ ღირსშესანიშნავია. იგი გვაგონებს მარიონეტთა თეატრში კარგად გათამაშებულ სპექტაკლს. წარმოდგენის მონაწილენი იღებენ ყველაზე ეფექტურ პოზებსა და მდგომარეობას; ადგილი აქვს გაშმაგებულ დეკლამაციასა და ხელების გააფთრებულ ქნევას; მარიონეტები ეხეთქებიან ერთმანეთს, ბრაზობენ ერთმანეთზე, აბრაგუნებენ ფეხებს, ხტიან და, ბოლოს, ეს კომედია მთავრდება მხურვალე ხვევნა-კოცნითა და ინტიმური დუეტებით...“

მართალია, ეტლი ჩერჩილს „პრიმადონას“ უწოდებს, ხოლო ეს უკანასკნელი ლეიბორისტებს „დოქტრინერობაში“ სდებს ბრალს, მართალია, ორივე „პარტია“ ცდილობს ცალცალკე „მშვიდობის“ უნგარო მომხრედ გაახალოს თავი, მაგრამ კორეაში ან მალაიაში ომის შეწყვეტაზე როგორც ერთი, ისე მეორე არაფერს ამბობს და აქ ორივეს მშვენივრად „ესმით“ ერთმანეთისა. თვით ინგლისშიც ხურსათის ფასების კატასტროფულ ზრდასთან ერთად იზრდება ამერიკელ „მეგობართა“ თავხედობა, და „პრიმადონები“ და „დოქტრინერები“ ამაშიც ერთმანეთის „გულისთქმის“ დიდ მახვედრილობას იჩენენ.

1951 წლის არჩევნებში კონსერვატორებმა საგრძნობლად „დაჩაგრეს“ ლეიბორისტები... მაგრამ რომელი მათგანიც უნდა გამოვიდეს არჩევნებში გამარჯვებული, უოლ-სტრიტსა და სიტში მშვიდად არიან: ინგლისის მთავრობის პოლიტიკა არ განიცდის პრინციპულ ცვლილებას, ცალკეული ნიუანსები კი არ აშფოთებთ ფულის ტომრების მფლობელებს.

„უპირველესი ვალი ინგლისის მთავრობისა, — წერს „ტაიმსი“, — კონსერვატიულია იგი თუ ლეიბორისტული, არის აგრესიული ატლანტიკური პაქტის „იდეებს“... ცხოვრებაში გატარება“.

ახსნა-განმარტება ზედმეტია.

და თუმცა ინგლისის ქვეშევრდომთა თვალში ამ „პარტიების“ ხრიკები ბურუსით არის დაფარული, სინათლის სხივები უკვე იკვლევენ გზას.

მარიონეტების სპექტაკლს ისტორია მალე მოხსნის ბრიტანეთის ცხოვრების სცენიდან.

ა. კუსრაშვილი.

ამერიკული „დემოკრატია“

ცნობილი ინგლისელი მწერალი ბერნარდ შოუ ამბობდა: „მე ვერიდები ამერიკაში წასვლას. მე, მართალია, კლასიკური ირონიის ოსტატად ვითვლები, მაგრამ ვშიშობ, რომ მეც კი ვერ ავიტანთ თავისუფლების ქანდაკების დანახვას“.

ადვილი წარმოსადგენია ამერიკული „თავისუფლება“, თუ კლასიკური ირონიის ოსტატიც კი ვერ შეძლებს მის ატანას.

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში კინოთეატრების, რესტორანების, ტრამვაისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების შესასვლელებზეა წარწერები: „მხოლოდ თეთრკანიანებისათვის“, „ფერადკანიანებისათვის აკრძალულია“. ეს წარწერები მკაფიოდ მეტყველებენ ამერიკულ „დემოკრატიაზე“.

დოლარისა და პოლიციური ხელკეტების ქვეყანაში შავკანიანები მოკლებული არიან ელემენტარულ ადამიანურ უფლებებს. ამერიკის მთელ რიგ შტატებში ზანგებს უფლება არა აქვთ დაქორწინდნენ თეთრკანიანებზე. ამისათვის ისინი სიკვდილით ისჯებიან. სამაგიეროდ თეთრკანიანებს უფლება ეძლევათ მოკლან უდანაშაულო ზანგი. ატლანტაში ტრამვაის კონდუქტორმა მიიხმო ზანგი და რევოლვერით მოკლა. კონდუქტორისათვის პასუხი არავის მოუთხოვია. ზანგების მეტ ნაწილს ამერიკის შეერთებულ შტატებში უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში უბადალებული „ცოდნის შემოწმება“ ზანგი ამომრჩევლების შევიწროებას ითვალისწინებს. მისისიპის შტატში ზანგი ამომრჩეველი მივიდა სარეგისტრაციოდ. რეგისტრატორმა აიძულა ზანგი წაეკითხა და შემდეგ ეამბნა ნაწყვეტები ბიბლიიდან, ზოგიერთი დებულებანი კონსტიტუციისა და სხვ. ზანგის ამომწურავი პასუხით განრისხებულმა და სახეშეშლილმა რეგისტრატორმა მიაჩერა ჯალადი, რომელზეც იეროგლიფებით რაღაც ეწერა, და დაულრიალა: „აი ეს რას ნიშნავს?“ „ეს იმას ნიშნავს, — უპასუხა ზანგმა, — რომ თქვენ, თეთრკანიანებს არ გინდათ, რომ ზანგებმა მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში“.

არც თეთრკანიან ამერიკელ მშრომელებს ადგათ სიკეთე. ამერიკელ ხალხს უკვე დიდი ხანია ჩამორთმეული აქვს უფლება — საკანონმდებლო ორგანოებში აირჩიოს თავისი ნამდვილი წარმომადგენლები.

ამერიკული პოლიტიკური ბიზნესის არსია: „თუ არ მოაკეთე, ისე ვერ მიიღებ ამომრჩეველთა ხმებს, გაშასადამე, ვერ მიაღწევ შენი კანდიდატის გამარჯვებას“. წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ამერიკული არჩევნების „დემოკრატიულობაზე“, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ დიდი ხნის გარდაცვლილი „ამომრჩევლები“, რომელთა სახელები სიფლავის ქვებზეც კი წაუშლია დროსა და უამს, შეტანილი არიან საარჩევნო სიებში და მათ „ეძლევათ“ საშუალება კენჭი უყარონ თავის კანდიდატებს. უცნაურია, მაგრამ ფაქტია. რა თქმა უნდა, ეს „ხერხი“ ყველაზე ხელსაყრელია ამერიკელი ბიზნესმენებისათვის: ასეთ „ამომრჩევლებთან“ საარჩევნო აგიტაცია ხარჯებს არ მოითხოვს. ხშირია შემთხვევები, რომ ამერიკელი ბიზნესმენების დაქირავებული აგენტები რამდენჯერმე აძლევენ ხმას „თავის“ კანდიდატებს. ხშირად ამომრჩეველს „კულტურულ მომსახურებასაც“ უწევენ: ამომრჩეველის მაგივრად საარჩევნო ბიულეტენს ურნაში იქვე მდგომი მოხელე ჩაუშვებს ხოლმე. აი „ფარული“ კენჭისყრა! აი მათი „დემოკრატია“!

ერთ-ერთი ამერიკული გაზეთი წერდა: „ამერიკული დემოკრატია, ისევე როგორც ამერიკის მრეწველობა, ამერიკის შეერთებული შტატების... მაგნატების მონოპოლიურ მფლობელობაშია“.

ამ მაგნატების მფლობელობაშია არამარტო ამერიკული დემოკრატია, არამედ ადამიანების ღირსებაც კი. მაგალითად, მიჩიგანის შტატში მიღებული კანონი, რომელიც ქმარს უფლებას აძლევს განქორწინებული ცოლი გაისტუმროს სრულიად შიშველი: შტატის კანონით ცოლის მთელი ტანსაცმელი ქმარს ეკუთვნის.

კომენტარები ზედმეტია!

ამერიკის მშრომელებს სჯერათ, რომ დადგება ამერიკელი ბიზნესმენების განკითხვის უამიც!

გ. ტატიშვილი.

◁ ○ ▷

ყოფილმა პრეზიდენტმა ტრუმენმა, როდესაც იგი „არჩეულ“ იქნა მისურის შტატში სენატორად, თითქმის ერთიორად მეტი ხმა მიიღო, ვიდრე ამომრჩეველთა რაოდენობა იყო. მაშინ პოლიტიკურმა ბოსებმა მოახერხეს ხმა მიეცათ მისთვის 20 წლის წინათ გარდაცვლილთა სახელით. ეს ერთეული შემთხვევა როდია. ხმის მიცემის ამ ნაცად მეთოდს ხშირად იყენებენ ამერიკელი „დემოკრატები“.

(გაზეთებიდან)



მისტერ ტვისტერს მკვდრებმაც ხმა მისცეს.

ნახატი ი. ქოქიაშვილისა.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 20 თებერვალი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთებს ყველა ფრონტზე უმნიშვნელო შეტაკებები ჰქონდათ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების მზვერავ რაზმებთან.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 8 თვითმფრინავი.

კორეაში ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტისათვის

მშვიდობის მომხრეთა მიტინგი დელში

პეკინი, 20 თებერვალი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ 14 თებერვალს დელში გაიმართა მშვიდობის მომხრეთა მიტინგი, სადაც ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას კორეაში. მიტინგი მოაწყო სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭომ.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა კინოხელოვნების ცნობილმა მადრასელმა მოღვაწემ სუბრაჰმანიამმა, რომელმაც მოუწოდა დამსწრეთ მოაწყონ დემონსტრაცია კორეაში ომის შეწყვეტის მოთხოვნის მხარდასაჭერად. სუბრაჰმანიამმა განაცხადა, რომ ინდოელ ხალხს შეუძლია თავისი გავლენა მოახდინოს მშვიდობის დამყარების საქმეზე.

პარლამენტის წევრმა ბხოპალის შტატის ყოფილმა მთავარმა მინისტრმა ჩატურნარაინ მალავიამ აგრეთვე მხარი დაუჭირა კორეაში ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის მოთხოვნას. მან დაგმო ბაქტერიოლოგიური ომი, რომელსაც ამერიკელი აგრესორები ეწევიან, და განაცხადა, რომ იმპერიალისტების გეგმები, რომელთა მიზანია აზიელთა გამოყენება აზიელების წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩაიფუშება.

პენჯაბის ცნობილმა მწერალმა სარდარ გურბაკშ სინგმა განაცხადა, რომ ინდოელი ხალხი უნდა შეუერთდეს მსოფლიოს ყველა სხვა ხალხს, რათა მოითხოვოს ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტა კორეაში.

ინდოეთის პარლამენტის წევრმა პოეტმა ხარინდრანატ ჩატოპადხაიამ განაცხადა, რომ ინდოეთმა მხარი უნდა დაუჭიროს ჩინეთს მშვიდობისათვის.

მიტინგის მონაწილეებმა მოიწონეს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მიერ მიღებული მოწოდება ხუთი დიდი სახელმწიფოსადმი.

ამერიკელი ინტერვენტები კვლავ ხოცავენ სამხედრო ტყვეებს

პეკინი, 20 თებერვალი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება: 16 თებერვალს კუნძულ ჩეჯუდოზე მოკლეს ჩინელი სამხედრო ტყვე. თავიანთი ჩვეულებრივი ტაქტიკის მიხედვით ამერიკელებმა ეს წარმოადგინეს როგორც „სამხედრო ტყვეების მიერ ჩადენილი მკვლელობა“.

როგორც ჩანს, ეს ტყვე დაიღუპა გომინდანელი ჯაშუშების ხელით, რომლებიც ბანაკში შეგზავნეს სამხედრო ტყვეების სახით. ამერიკელებმა ბევრი ჩანკაიშელი და ლისინმანელი აგენტი გაგზავნეს ბანაკებში სამხედრო ტყვეების სახით. მათი ამოცანაა დაეხმარონ ამერიკელებს ტყვეების ძალით დაკავებაში. ეს დადასტურა ამჟამად კორეისა და ჩინეთის სახალხო ჯარების ხელში მყოფმა ბევრმა ტყვემ, რომლებიც ძალით აიძულეს შესულიყვნენ ლისინმანელთა არმიაში ან გამხდარიყვნენ ჯაშუშები, რომლებიც შემდეგ თვითმფრინავებით გადაჰყაოდათ კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ზურგში.

ტაილანდის ხელისუფალნი ხელს უწყობენ გომინდანელ განდიტებს

ბანგკოკი, 20 თებერვალი. (საკდესი). ტაილანდის პრესის ცნობით, ამ ბოლო დროს გახშირდა გომინდანელთა ბანდების ავანაკური თავდასხმები ბირმის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებზე, რასაც თან ახლავს მშვიდობიანი მცხოვრებლების ხოცვა და მათი ქონების ძარცვა. კერძოდ, გომინდანელები თარეშობენ ბირმის ვოლფრამით მდიდარ რაიონში (ესაზღვრება ტაილანდის პროვინცია კანჩანაბურის), ახდენენ ყაჩაღურ თავდასხმებს ვოლფრამის მაღაროებზე.

ამას წინათ ბირმის სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ გომინდანელები კონტრაბანდად გზავნიან ვოლფრამს ბირმიდან ტაილანდში, სადაც მას იარაღში ცვლიან. ამასთან დაკავშირებით, წერდა გაზეთი „ბანგკოკ პოსტი“, ბირმის საელჩომ ბანგკოკში ტაილანდის მთავრობას გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოითხოვდა აღიკვეთოს გომინდანელებისათვის იარაღის კონტრაბანდად გადაზიდვა ტაილანდის ტერიტორიით ბირმაში. ბირმის საელჩომ ტაილანდის მთავრობას მოსთხოვა აგრეთვე ბოლო მოეღოს გომინდანელების გადასვლას ტაილანდის ტერიტორიით ბირმაში.

ბირმის პრესა იუწყება, რომ ქალაქ ტატონის (ტენასერიმის რაიონი) მახლობლად შეტაკება მოხდა გომინდანელებსა და ბირმის ჯარებს შორის. ამ ბრძოლაში ბირმის ჯარებმა ხელთ იგდეს ტაილანდის მარკიანი იარაღი.

ამერიკა-ინგლისის წინააღმდეგობანი

ლონდონი, 20 თებერვალი. (საკდესი). გაზეთმა „ივნინგ ნიუსმა“ პირველ გვერდზე მოათავსა თავისი საავიაციო მიმომხილველის ცნობა, რომელშიც ნათქვამია: ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების ხელმძღვანელებს სურთ ინგლისის მთავრობა დათანხმდეს იმაზე, რომ მომავალში მთელ სტრატეგიულ დაბომბვას კონტროლს უწევდნენ მხოლოდ და მხოლოდ ამერიკელები. როგორც მიმომხილველი აღნიშნავს, ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელები გადაჭრით ეწინააღმდეგებიან ამას, და ინგლისის მთავრობაში შეტანილია წარდგენები ამის შესახებ.

კომენტარს უკეთებს რა სარედაქციო სტატიაში ამ ცნობას, „ივნინგ ნიუსი“ წერს: „უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წინადადებანი ენერგიულ წინააღმდეგობას გამოიწვევენ არა მარტო ვიწრო და კაზუისტიკურ მიზეზთა გამო, არამედ უფრო ღრმა და მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სამხედრო და ფსიქოლოგიურ მიზეზთა გამოც. ბომბდამშენი ავიაცია ინგლისისა და ერთა თანამეგობრობის თავდაცვითი სტრატეგიის განუყოფელი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ელემენტია. საკვირველია, რომ როგორც ტაქტიკურ, ისე სტრატეგიულ გეგმაშეგ იგი მთლიანად ინგლისის შტაბების უფროსებისა და ინგლისის კაბინეტის ხელში რჩებოდეს. ამას დაეინებით მოითხოვს შეერთებული სამეფოს უშიშროების მოსაზრებანი. სანამ მოლაპარაკება უფრო შორს წავიდოდეს, ინგლისის ეს ძირითადი კონცეპცია საჭიროა ეცნობოს ჩვენს მოკავშირეებს უაღრესად გულახდილი და გადამწყვეტი ფორმით“.

ფრანგი ხალხი აღფოთებულია ფაშისტი ჯალათების ამნისტიით

პარიზი, 20 თებერვალი. (საკდესი). საფრანგეთის რესპუბლიკის საბჭოში გუშინ განიხილავდნენ ორადურ-სიურ-გლანის სრული ამნისტიის კანონპროექტს, რომელიც წინადღით მიიღო ეროვნული კრების რეაქციულმა უმრავლესობამ. დილით ეს კანონი განიხილა რესპუბლიკის საბჭოს იურიდიულმა კომისიამ და უარყო, რამდენადაც მის დამტკიცებას, როგორც გაზეთი „ფიგარო“ აღნიშნავს, არ მისცა ხმა კომისიის არც ერთმა წევრმა. წინააღმდეგ ხმა მისცა 7 წევრმა, კომისიის 10 წევრმა თავი შეიკავა კენჭისყრაში.

მაგრამ პლენარულ სხდომაზე რესპუბლიკის საბჭოს რეაქციულმა უმრავლესობამ დაამტკიცა ამნისტიის კანონპროექტი. კანონის დამტკიცებას ხმა მისცა 174 წევრმა, წინააღმდეგ 79 წევრმა (კომუნისტებმა და სოციალისტებმა).

როგორც გაზეთი „კომბა“ იუწყება, სოფელ ორადურ-სიურ-გლანის მერმა ფოეერმა პროტესტის ნიშნად მერიის ვიტრინაში მოხსნა სამხედრო ჯვრის ორდენი, რომელითაც ორადურ-სიურ-გლანი დააჯილდოვეს 1948 წელს.

„ჩვენ დიდად აღგაშფოთა ქალაქ ბორდოს ტრიბუნალის განაჩენმა, — განაცხადა ფოეერმა, — ჩვენ აღგაშფოთა აგრეთვე მთავრობისა და ეროვნული კრების უმრავლესობის მოქმედებამ, იმ დამნაშავეთა რეაბილიტაციისა და პატიების კანონის მიღებამ, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან 1944 წლის 10 ივნისს ჩადენილი მკვლელობისათვის. ჩვენ ვერ მოვითმენთ ჩვენი წამებულთა ხსოვნის ასეთ შეურაცხყოფას“.

გაზეთი „კომბა“ იუწყება, რომ ორადურ-სიურ-გლანის მეზობელი კომუნების 9 მერმა მიიღო რეზოლუცია, რომელითაც აღფოთებას გამოთქვამენ ორადურის ჯალათების ამნისტიის გამო.

ამერიკა ზეგავლენას ახდენს ფინეთზე

ჰელსინკი, 20 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ტიუეკანსან სანომატი“ იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების მისია ფინეთში ზეგავლენას ახდენს ფინეთის მთავრობასა და გემთმფლობელებზე, მოითხოვს შეწყდეს ნაოსნობა ფინეთსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატების მიზანია შეწყვიტონ სავაჭრო ურთიერთობა, რომელიც ფინეთით წარმოებს აღმოსავლეთთან, რაც დიდ ზარალს მიაყენებდა ფინეთს.

საერთაშორისო საჭადრაკო ჟურნირი ბუქარესტში

ბუქარესტი, 20 თებერვალი. (საკდესი). დღეს მე-16 ტურის პარტიებში ბევრი იყო მწვავე მომენტები და ლამაზი კომბინაციები. ჩინებულად გაითამაშა პარტია ოსტატმა ტოლუშმა (სსრ კავშირი) შტოლცის (შვეიცია) წინააღმდეგ. ოსტატურად გართულა რა მდგომარეობა, ტოლუშმა 28-ე სვლაზე შესწირა ხარისხი, რის შემდეგ მიიღწია მატერიალურ უპირატესობას. 42-ე სვლაზე ეტლის ეფექტიანი შეერვით ტოლუშმა დაიჭარა შამათი.

გროსმაისტერმა ბოლესლავსკიმ, რომელიც თეთრებით თამაშობდა ჩოკოლტიასთან (რუმინეთი), დებიუტში უფრო თავისუფალი პოზიცია ძიიღო განავითარა რა იერიში ღია ცენტრალურ ხაზზე, ბოლესლავსკი ფიგურებით შეიჭრა ძოწინააღმდეგის ბანაკში და შამათის საფრთხე შეუქმნა შავების მეფეს. ჩოკოლტია დანებდა 31-ე სვლაზე.

ორიგინალურად გაითამაშა პარტიის დასაწყისი სპასსკიმ ბარდას (ნორვეგია) წინააღმდეგ. 22-ე სვლაზე სპასსკიმ ლამაზი კომბინაციით შესწირა ფიგურა. შექმნა რა სამი გამსვლელი პაიკი, სპასსკიმ გამარჯვებას მიაღწია 41-ე სვლაზე.

ყაიმით დამთავრდა ო'კელი (ბელგია) — სმისლოვის (სსრ კავშირი) პარტია. მწვავე მდგომარეობაში ერთგვარი უპირატესობით გადადო პარტია გროსმაისტერმა პეტროსიანმა (სსრ კავშირი) სლივას (პოლონეთი) წინააღმდეგ. ბარკამ (უნგრეთი) მოუგო ტროიანესკუს (რუმინეთი), ფილიპმა (ჩეხოსლოვაკია) დაამარცხა მილევი (ბულგარეთი). რეიხერმა (რუმინეთი) დაკარგა ფიგურა და დანებდა რედულესკუს (რუმინეთი). გოლომბეკ (ინგლისი) — ლ. საბოს (უნგრეთი) პარტია გადაიდო. საბოს სამი ზედმეტი პაიკი აქვს. ორი ზედმეტი პაიკი აქვს შაიტარს (ჩეხოსლოვაკია) შ. საბოს (რუმინეთი) წინააღმდეგ.

16 ტურის შემდეგ წინ არის ოსტატი ტოლუში (სსრ კავშირი), რომელსაც 12 ქულა აქვს, მეორე ადგილზეა გროსმაისტერი პეტროსიანი (სსრ კავშირი) — 10,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია.



ზამთარი ბოლჯომში.

ფოტო შ. იაშვილისა.

◁ ▷

მეშახტეთა კულტურული მომსახურებისათვის

○ **წყალტუბოში** სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ახალი სანატორიუმის კლუბში მოწყობილია სტაციონარული კინოდანადგარი. ასეთივე კინოდანადგარი ეწყობა ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხნის კლუბში. გარდა ამისა, საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა შეიძინა ორი ახალი მოძრავი კინოდანადგარი ტყვარჩელის მეშახტეთა დაბების კულტურული მომსახურებისათვის.

○ **წელს ტყიბულის, ტყვარჩელისა და ახალციხის** 1.500-ზე მეტი მეშახტე გაატარებს შვებულებას საქართველოს, ყირიმის და სხვ. საუკეთესო სანატორიუმებში. 30 მეშახტე უკვე გაგზავნა დასასვენებლად.

მუშათა თვითმოქმედი კოლექტივი

თელავი. (საკ. კორ.). აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის მუშათა კლუბთან რამდენიმე წელია არსებობს თვითმოქმედი დრამატული კოლექტივი, რომელსაც ს. ორჯონიკიძის სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრის მსახიობი ვ. ჩელთიხპრელი ხელმძღვანელობს.

დრამატულმა კოლექტივმა ფაბრიკის, აგრეთვე რაიონის საკოლმეურნეო კლუბებში დადგა ბ. ლავრენევის „რღვევა“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, ნ. არეშიძის „განთიადი“, გ. ბერძენიშვილის „ციხე-სიმაგრე“ და სხვ.

დრამატული კოლექტივის წევრებში გამოირჩევიან ძაფის ამომზვეველები — ა. ამბარდანი და მ. ჯაბანაშვილი, ძაფის შემფუთავები — ფ. მაისურაძე და ს. შაშვიაშვილი, უფროსი ლაბორანტი ე. კირაკოზოვი, დურგალი შ. აზნარაშვილი, ზეინკალი ვ. კირაკოზოვი და სხვები.

ახალი ხიდი

ქარელი. (საკ. კორ.). გზატკეცილების მშენებლობის გორის სამშენებლო კანტორამ სოფელ საღოლაშენში მდინარე ფრონეზე დაამთავრა რკინაბეტონის ახალი ხიდის მშენებლობა.

ახალ ხიდზე უკვე წარმოებს ტრანსპორტის მოძრაობა.

უნგრელ მსახიობთა ექსკურსია

[illegible] ბუდაპეშტის ოპერის თეატრის [illegible] ბ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში აწყობს უნგრელ მსახიობთა კონცერტებს. უნგრელი მსახიობები საბჭოთა კავშირში მოიწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურთან დაკავშირებით, რაც 18 თებერვალს დაიწყო.

კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი, კოშუტის პრემიის ლაურეატი შანდორ შვედი (ბარიტონი), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, კოშუტის პრემიის ლაურეატი დირიეორი ლასლო შომოდი, ბუდაპეშტის ოპერის თეატრის სოლისტი: პაულა ტაკაჩი (სოპრანო), პიანისტი ქალი ხედი შნეიდერი, მევიოლინე ქალი აგნეშ ვადაში და კონცერტმაისტერი იშტვან ხაიდუ.

„მაქსიმკა“ ეკრანზე

ორშაბათიდან თბილისის კინოთეატრებსა და კლუბებში ნაჩვენები იქნება ახალი ფერადი მხატვრული ფილმი „მაქსიმკა“ (სცენარის ავტორი გ. კოლტუნოვი, რეჟისორი ვ. ბრაუნი). სცენარი დაწერილია რუსი მწერლის კ. მ. სტანიუკოვიჩის „საზღვაო მოთხრობების“ მოტივების მიხედვით. ფილმისათვის ძირითადად აღებულია მოთხრობა „მაქსიმკა“, გამოყენებულია აგრეთვე „დაკარგული მატროსი“ და სხვა მოთხრობების ცალკეული სეზენები.

ნაცადი მატროსის ლუჩკინის როლს ასრულებს რსფსრ სახალხო არტისტი ბორის ანდრეევი, ზანგი ბიჭუნას მაქსიმკას როლს ცირა წლის არხანგელსკელი მოსწავლე ტოლია ბოვკინი. ფილმში მონაწილეობას იღებენ მსახიობები ნ. კრიუჩკოვი, ს. კურილოვი, ვ. ტიხონოვი, მ. ბერნესი და სხვ.

ფილმი დადგა კიევის მხატვრული ფილმების კინოსტუდიამ.

დიდი მოგებანი

სილნალი. (საკ. კორ.). ამ დღეებში შემნახველი სალაროს სილნაღის რაიგანყოფილებაში სოფელ ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ წევრმა თინა მაზიაშვილმა წარადგინა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მესამე სახელმწიფო სესხის 100-მანეთიანი ობლიგაცია, რომელსაც ხვდა 50 ათასი მანეთის მოგება.

ამავე სესხის ობლიგაციით ქვემო მაღარო-ს კოლმეურნეობა „ლენინის გზის“ წევრმა სიკო უსუფაშვილმა მოიგო 25 ათასი მანეთი.

მწერალთა კავშირში

სამშაბათს, 24 თებერვალს, მწერალთა კავშირში პროზის სექციის საჯარო სხდომაზე მწერალი ო. ჩხეიძე წაიკითხავს ლექციას თემაზე — „ქართული საბჭოთა ნოველის განვითარების გზები“.

ლექცია

23 თებერვალს საღამოს 8 საათზე ვოროშილოვის სახელობის კლუბში საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ინწკირველი წაიკითხავს საჯარო ლექციას თემაზე: „ლენინ — სტალინის პარტიის პოლიტიკა საბჭოთა საზოგადოების სასიცოცხლო ძალაა“.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი.

საქართველოს რადიოგადაცემათა
22 თებერვლის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 06.45 — სიმღერები საპრიზოზე; 11.00 — პიონერთა დაფიონის საკვირაო გამოშვება; 11.30 — რეპორტაჟი საარჩევნო უბნიდან; 11.45 — სიმღერები სტალინზე, სამშობლოზე, მშვიდობაზე; 14.00 — რეპორტაჟი საარჩევნო უბნებიდან; 16.00 — ლექსები და სიმღერები არჩევნებზე; 17.00 — უკანასკნელი ცნობები; 17.10 — ქართული ხალხური სიმღერები; 17.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის; 18.20 — ნორჩ რადიომსმენელთა თეატრი; 20.30 — საუბარი საერთაშორისო თემებზე; 20.50 — კომპოზიტორ შოსტაკოვიჩის ორატორია „სიმღერა ტყეებზე“; 22.50 — საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა კონცერტი; 00.05 — საცეკვაო მუსიკა.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

22 თებერვალს	ლ. მინკუსი — **დონ-კიხოტი** (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით).
24 თებერვალს	ჟ. ბიზე — **კარმენ**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის — პეპო (დილა-საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — რაც გინახავს, ვეღარ ნახავ (დილა-საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ოპტიმისტური ტრაგედია (დღისით), სიყვარულთან ხუმრობა არ შეიძლება (საღამოს, აბონემენტი 11, 12); **სომხური დრამის** — გიქორი (დღისით), ქალიშვილი ლუსაკერტიდან (საღამოს); **მუსიკალური კომედიის** — მეგობრები (დღისით), სასიძოები (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ძველი მეგობრები (1 და 8 ს.); **თოჯინების** — ჭაბუკი და მტრედი (12 ს.), ორი ძმა (2 ს. 30 წ.); **სანატორული კულტურის** — სიცოცხლის ტყე (საღამოს).

თბილისის სახელმწიფო ცირკი

ყოველდღე
დიდი საცირკო წარმოდგენა
ახალგაზრდათა კოლექტივი
კარნავალი ყინულზე
დასაწყისი საღამოს 8½ საათზე

ხვირას, 22 თებერვალს
დღისით
ორი საბავშვო წარმოდგენა
დასაწყისი I—12 ს., II—3 საათზე.
ბილეთები იყიდება ცირკის სალაროებში.
ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება იუწყება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ **ექვთიმე სიმონის-ძე თაყაიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22 და 23-II, საღამოს 8 ს. გამოსვენება 24-II, დღის 4 ს. — ვაშლოვანის ქ. № 6.

დედა ეკუეუნა, მამა კარლო, მამიდები კატო, ნინო, დუშა, მაგდან მატკავები იუწყებიან პატარა თემურის გარდაცვალებას. დაკრძალვა სუჯუნაში (აბაშის რაიონი).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის კოლექტივი იუწყება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ **ექვთიმე სიმონის-ძე თაყაიშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე კო